პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 270 (9430) | შაბათი, 15 ნოემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

სანიმუშოდ მოვემზადოთ ზამთრის სასპორტო სეზონისათვის — მოწინავე.

დავრაზმოთ მთელი ძალები მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის (1-ლი გვერდი).

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

საკავშირო ინფორმაციები (1-ლი გვერდი).

გერმანიის მუშიდოგბისა და ეროვნული გაერთიანების ინტერესებისათვის — «პრავდის» 14/XI მოწინავე (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება. სტალინირის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება (მე2-გვერდი).

ა. გოცირიძე, შ. ჭოჭუა — მეტი ყურადღება საბინაო მეურნეობას (მე3-გვერდი).

გ. მელიქიშვილი, გ. ლომთათიძე — აქალაქმიჯრის სიმონ ჯანაშია (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია (მე-3 და მე-4 გვერდი).

უცხოეთის და რესპუბლიკური ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სანიმუშოდ მოვემზადოთ ზამთრის სასპორტო სეზონისათვის

ჩვენი პარტია, საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას. ფიზკულტურა და სპორტი მთელი საბჭოთა ხალხის სიყვარულით სარგებლობს.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისადმი პარტიის დიდ მზრუნველობას მოწმობს ის, რომ ჯერ კიდევ 1948 წლის დეკემბერში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ისტორიული დადგენილება „მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისა და საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების შესახებ“. ამ დადგენილების განხორციელებისათვის სერიოზული მუშაობა იქნა გაწეული. ამას ადასტურებს საბჭოთა სპორტსმენებისა და სპორტული კოლექტივების არაერთი გამარჯვება მსოფლიო შეჯიბრებებში. საბჭოთა სპორტსმენებმა არაერთხელ დაამყარეს ევროპისა და მსოფლიო რეკორდები.

ქართველი ახალგაზრდობის წიაღში აღზარდნენ შესანიშნავი ფიზკულტურელები, რომლებიც წარმატებით იცავენ ჩვენი სამშობლოს სპორტულ ღირსებას საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

„მაგრამ, სამწუხაროდ, — თქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობაზე, — ფიზკულტურულ მოძრაობაში მიღწეულმა წარმატებებმა საქართველოს კომკავშირის და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკების თვითდამშვიდება, ობივატელური უდარდელობა გამოიწვია. ამის შედეგად ჩვენ ამჟამად საქართველოში ფიზკულტურული მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებათა ფაქტის წინაშე ვდგავართ...

დამახასიათებელია, რომ საქართველოს კომკავშირის 350.000 წევრიდან ფიზკულტურულ კოლექტივებში მხოლოდ 170.000 ჰაბუკი და ქალიშვილია. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ კოლექტივების უმრავლესობა ცუდად მუშაობს, იმ ახალგაზრდობის რიცხვი, რომელიც ნამდვილად მისდევს ფიზკულტურას, კიდევ უფრო ნაკლები იქნება“.

საქართველოს კომუნისტების ხელმძღვანელის ამხ. ა. მგელაძის ეს სიტყვა სერიოზული გაფრთხილებაა, რათა კომკავშირულმა, პროფკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ახალი ამოცანების დონეზე აიყვანონ ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა. საქართველოში ამის პირობები განსაკუთრებით ხელსაყრელია. საქართველო ბუნების მიერ უხვად არის დაჯილდოებული. აქ ჩვენი ახალგაზრდობის განკარგულებაშია ზღვაც, ტბებიც, მდინარეებიც, ველებიც, მთებიც, მაღალი უღელტეხილებიც.

მალე დაიწყება ზამთრის სასპორტო სეზონი. ამისათვის აუცილებელია ყოველმხრივ სანიმუშოდ მოვემზადოთ. ცნობილია, რომ ზამთრის პერიოდში ფიზკულტურული მუშაობის წარმატების ბედს წყვეტს სასპორტო ბაზებისა და სასპორტო მოწყობილობის სათანადოდ მომზადება. ამ მხრივ სერიოზული ნაბიჯი გადადგეს თბილისის სასპორტო ორგანიზაციებმა და ფიზკულტურულმა კოლექტივებმა. ერთგვარი გაუმჯობესება დაეტყო ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ მუშაობას. მაგრამ ეს საზოგადოება ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს იმისათვის, რომ ფართოდ გაჩაღდეს სასპორტო ბაზებისა და ფიზკულტურული დარბაზების მშენებლობა. მან მუშაობა ისე უნდა გარდაქმნას, რომ უახლოეს დროში ყოველ კოლმეურნეობაში, ყოველ საბჭოთა მეურნეობაში, ყოველ საწარმოში იყოს შექმნილი საკუთარი სასპორტო მოედანი და ფიზკულტურული კოლექტივი, მუშაობდეს იგი ნაყოფიერად. ამ ღონისძიების განხორციელებაში ენერგიულად უნდა ჩაებან კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

მთელ რიგ რაიონებში ზამთრის სასპორტო სეზონისათვის მზადებაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ყველაფერი რიგზე არ არის ბორჯომსა და ბაკურიანში. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტი ვალდებულია გადამჭრელი ზომები მიიღოს არსებული ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

ქალაქ ქუთაისში გარკვეული ღონისძიებანი განახორციელეს სასპორტო სეზონისათვის მოსამზადებლად: კაპიტალური რემონტი გაუკეთდა სასპორტო სკოლის დარბაზს, შეკეთდა პედაგოგიური ინსტიტუტის სასპორტო დარბაზი. მაგრამ დღემდე ჭიანურდება ფიზკულტურის ცენტრალური და ძალოსნობის დარბაზების რემონტი. ამაში, უწინარეს ყოვლისა, ბრალი მიუძღვის ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

ზამთრის სასპორტო სეზონისათვის სუსტად ემზადებიან ზესტაფონის, ონის, ამბროლაურის და საჩხერის რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციები. ქუთაისის ოლქში დიდი შესაძლებლობა არსებობს სათხილამურე სპორტის განვითარებისათვის. საამისოდ კი ადგილებზე ნაკლები ღონისძიებანი ხორციელდება. ამ სახის სპორტის განვითარებას ძირითადად აფერხებს საჭირო სათხილამურე ინვენტარის უქონლობა. ოლქის 7 რაიონს (ზემო და ქვემო სვანეთის, ცაგერის, ქლუხორის და სხვ. რაიონები) არა აქვს სათხილამურე სპორტის ელემენტარული ინვენტარიც კი.

ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის აუცილებელია ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი. საჭიროა მკვეთრად გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა და დახმარება ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებისადმი, მეტი მზრუნველობით ვზრდოთ სპორტის სხვადასხვა სახის ხელმძღვანელი კადრები, გადავსინჯოთ ფიზკულტურის მასწავლებელთა შემადგენლობა და ნაკლებად კვალიფიციური ადამიანები შევცვალოთ უფრო მომზადებული და საქმის მოყვარული ამხანაგებით.

მკვეთრად უნდა გავაუმჯობესოთ ფიზკულტურის საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა მომზადების საქმე, ამ მუშაობაში ჩავაბათ ის კომკავშირელები, რომლებსაც სპორტი უყვართ და ახალგაზრდობაში მუშაობა შეუძლიათ. ამავე დროს უნდა გავაძლიეროთ მშთნიშნოსანთა და თანრიგოსანთა შემდგომი მომზადება. საჭიროა უახლოეს ხანში ბოლო მოვუღოთ ჩამორჩენას და მივაღწიოთ საქართველოს ფიზკულტურული მოძრაობის ახალ აღმავლობას.

საქართველოს ფიზკულტურელებს ყველა პირობა აქვთ მოიპოვონ ახალი რესპუბლიკური, საკავშირო და მსოფლიო რეკორდები, ფართოდ განავითარონ ალპინიზმი, ჭადრაკი, მძლეოსნობა, წყალჯომარდობა, ტანვარჯიში, კრივი, ფეხბურთი, ფრენბურთი, სათხილამურე, საცხენოსნო და ველოსპორტი, ლილო და სპორტის სხვა სახეები. საამისოდ ყველა ღონისძიება უნდა განახორციელონ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა, ყველა ნებაყოფლობითმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ყოველმხრივ მოვემზადოთ ზამთრის სასპორტო სეზონისათვის, მივაღწიოთ ახალ წარმატებებს სპორტის ყველა სახეში, შეუპოვრად ვიბრძოლოთ ჩვენი დიადი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის სპორტული ღირსების დაცვისათვის, — ასეთია საქართველოს სპორტსმენთა ამოცანა.

დავრაზმოთ მთელი ძალები მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის

ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა

საქართველოს ლუდ-ლიმონათის ტრესტის ლუდის მე-3 ქარხნის კოლექტივმა პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი და საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით გაანაღდა. ქარხანამ 7 ნოემბრისათვის შეასრულა ლუდის გამოშვების წლიური გეგმა.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა ფართოდ გააჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 7 ათასი ჰექტოლიტრი ლუდი.

მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად

—ვადამდე შევასრულოთ კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთები, მივცეთ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია, — ასეთი ლოზუნგით მუშაობდა დიდი ოქტომბრის ზეიმის წინადღეებში სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტროს თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის კოლექტივი.

მაღალნაყოფიერი შრომით ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა. კომუნიზმის დიად მშენებლობებს ვადაზე ადრე გაუგზავნა 28 სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხი. ქარხნის მუშათა ნახევარზე მეტს საგრძნობი გადაჭარბებით აქვს შესრულებული წლიური ნორმები, ხოლო 12 სტახანოველს ორი-ორნახევარი წლის დავალებანი.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა ერთსულოვნად განაგრძოს სოციალისტური შეჯიბრება და წლის ბოლომდე სამშობლოს მისცეს ასეულ-ათასობით მანეთის ზეგეგმიური პროდუქცია.

სტალინური კონსტიტუციის დღისათვის

მძლავრი შრომითი აღმავლობაა ობილისის სპილენძსაგლინავ ქარხანაში. აქ მუდამ გადაჭარბებით ასრულებენ საგეგმო დავალებებს. სპილენძმგლინავებმა საამაყო მაჩვენებლებით გაანაღდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი, გეგმის გადამეტებით გამოუშვეს მრავალი ათეული ტონა სპილენძის ნაგლინი და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაზოგეს 141 ათასი მანეთი.

ამ დღეებში ქარხნის კოლექტივი გაორკეცებული ენერგიით იბრძვის მეხუთე ხუთწლედის მეორე წლის დავალების ვადამდე შესრულებისათვის. სტალინური კონსტიტუციის დღის — 5 დეკემბრისათვის შეავასრულოთ წლიური გეგმა, — ამ გადაწყვეტილებით გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება მდნობელებმა, მგლინავებმა და დამხმარე პროფესიის მუშებმა. მათ იკისრეს აგრეთვე გასულ წელთან შედარებით 10 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, 7 პროცენტით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და დაზოგონ 18 ტონა სათბობი.

მეტი და მაღალხარისხოვანი ფურცლოვანი სპილენძის დამზადებისათვის ბრძოლაში მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ საგლინავი სამჭროს ოსტატი ნ. შომახია, მგლინავები მ. დავითაშვილი, ნ. რუხაძე, გ. თარაშვილი, მ. სეფაშვილი, მდნობელები ვ. ბენდიანიშვილი, გ. მჭედლიშვილი და ვ. მიშენკო, რომლებიც ყოველდღიურ ნორმებს 135-145 პროცენტით ასრულებენ.

ზეგეგმიური ქაღალდი თამბაქოს მრეწველობას

წინა კვარტალში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის თბილისის ქაღალდის ფაბრიკის კოლექტივმა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე პრემია მიიღო.

ფაბრიკის კოლექტივი წარმატებით განაგრძობს მუშაობას მეოთხე კვარტალში. ქაღალდის მკეთებლები ახალი მიღწევებით შეხვდნენ პარტიის XIX ყრილობასა და დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავს — ათი თვის საწარმოო დავალება მათ გადაჭარბებით გაანაღდეს. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა გასაცემ ფასებში შესრულებულია 106 პროცენტით. ამავე დროს გადიდდა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს თამბაქოს ტრესტის საწარმოებმა, რომლებსაც მომსახურებას უწევს ფაბრიკა, მექაღალდეებისაგან გეგმის გადამეტებით მიიღეს ასობით ტონა სამუნდშტუკე, საკოლოფე და შესახვევი ქაღალდი.

ფაბრიკის კოლექტივმა გასული თვის დავალება 6 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა.

შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ნიმუშებს იძლევიან საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ცვლები, რომლებსაც ინჟინრები იოსებ ლოსაბერიძე და სიმონ კაკულია ხელმძღვანელობენ. ოქტომბერში ყველაზე მაღალი შრომითი მაჩვენებლები ჰქონდა შემცვლელ ცვლას, ნოემბერში კი კვლავ ი. ლოსაბერიძის ცვლა მიდის წინ.

სტახანოველებიდან კარგად მუშაობენ ქაღალდის მანქანის ბრიგადირი ვ. ტაბუროვი, ზეინკალი მ. ბელაშვილი, ქაღალდის შემფუთველები გ. ჯავახიშვილი და ე. კრივენკო.

ახლა ფაბრიკაში იმისათვის იბრძვიან, რომ ვადამდე—ათი დეკემბრისათვის გაანაღდონ მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმის მეორე წლის დავალება.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ახალციხის—ლენინის საქალაქო № 90 საარჩევნო ოლქში, დმანისის რაიონის გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქში, მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის № 242 საარჩევნო ოლქში და ქ. სუხუმის — ლენინის № 291 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დღის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 99 მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები ახალციხის — ლენინის საქალაქო № 90 საარჩევნო ოლქში, დმანისის რაიონის გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქში, მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის № 242 საარჩევნო ოლქში და ქ. სუხუმის — ლენინის № 291 საარჩევნო ოლქში 1952 წლის 21 დეკემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. ჩხუბიანიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი. 1952 წ. 14 ნოემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალციხის—ლენინის საქალაქო № 90 საარჩევნო ოლქი შექმნილია შემდეგ საზღვრებში:

ლენინის, ორჯონიკიძის, ჭავჭავაძის, მახარაძის, ნინოშვილის ქუჩები, საკოლმეურნეო ჩიხი, საკოლმეურნეო მოედანი, კიროვის, ვოროშილოვის, ძერჟინსკის, კომკავშირის, ცხაკაიას ქუჩები, საბავშვო შესახვევი, მესხეთის, წერეთლის, მიასნიკოვის, რუსთაველის, საბჭოთა, შაუმიანის ქუჩები, სასკოლო შესახვევი, წულუკიძის, ჩკალოვის, ბერიას, მოლოტოვის, სადგურის, ვარძიის, სტალინის, მიჩურინის, ლერმონტოვის, ედანოვის, ხრუშჩოვის, ვაჟა ფშაველას, ყაზბეგის, გოგებაშვილის, გურამიშვილის, მაიაკოვსკის, მიქოიანის, ციხისძირის ქუჩები და საქონლის სადგურის დასახლებული პუნქტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დმანისის რაიონის გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქი შექმნილია შემდეგი შემადგენლობით:

დმანისის რაიონის სასოფლო საბჭოები: გომარეთის, სარკინეთის, ყარაბულახის, საჯის, კიროვისისა და კამარლოსი.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის № 242 საარჩევნო ოლქი შექმნილია შემდეგი შემადგენლობით:

მაიაკოვსკის რაიონის სასოფლო საბჭოები: წითელხევის, როხის, ფერსათისა და როკითისა.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. სუხუმის—ლენინის № 291 საარჩევნო ოლქი შექმნილია შემდეგი შემადგენლობით:

ქ. სუხუმის ნაწილი საზღვრებში: დასავლეთიდან—მალენკოვის ქუჩის ლუწი ნომრები ზღვის ნაპირიდან სტალინის ქუჩამდე, სტალინის ქუჩის ლუწი ნომრები მალენკოვის ქუჩიდან ლესელიძის ქუჩამდე, ლესელიძის ქუჩის ლუწი ნომრები სტალინის ქუჩიდან კუიბიშევის ქუჩამდე, კუიბიშევის ქუჩის კენტი ნომრები ლესელიძის ქუჩიდან მალენკოვის ქუჩამდე, მალენკოვის ქუჩის ლუწი ნომრები კუიბიშევის ქუჩიდან რკინიგზის ლიანდაგამდე; ჩრდილოეთიდან: — რკინიგზის ლიანდაგი მალენკოვის ქუჩიდან გვირაბის დასავლეთ პორტალამდე; აღმოსავლეთიდან — ენგელსის ქუჩის კენტი ნომრები ზღვის ნაპირიდან № 348 მიწის ნაკვეთამდე; სამხრეთიდან — ზღვის ნაპირი მალენკოვის ქუჩიდან ენგელსის ქუჩამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ცალკეულ საარჩევნო ოლქებში არჩევნების საარჩევნო კამპანიის ვადის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 8 მაისის ბრძანებულებით დაწესებულია, რომ ცალკეულ საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების ჩატარების დროს საარჩევნო კამპანია მოცემულ საარჩევნო ოლქში იწყება ერთი თვით ადრე არჩევნების დღემდე, ნაცვლად ორი თვისა, რაც „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებით“ გათვალისწინებულია საერთო არჩევნებისათვის.

ამის შესაბამისად:

ა) ამომრჩეველთა სიებს საყოველთაო გასაცნობად მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გამოაკრავს 20 დღით ადრე არჩევნებამდე;

ბ) საარჩევნო უბნების შექმნა და საუბნო საარჩევნო კომისიების დამტკიცება ხდება არაუგვიანეს 25 დღისა, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიების დამტკიცება — არაუგვიანეს 28 დღისა არჩევნებამდე;

გ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია ხდება საოლქო საარჩევნო კომისიებში არაუგვიანეს 15 დღისა არჩევნებამდე, ხოლო ცნობები დეპუტატობის რეგისტრირებულ კანდიდატზე და საზოგადოებრივ ორგანიზაციის დასახელება, რომელმაც წამოაყენა კანდიდატი, ქვეყნდება არაუგვიანეს 12 დღისა არჩევნებამდე.

გეგმების შესრულება

ქარელის რაიონმა 12 ნოემბრისათვის 100,5 პროცენტით შეასრულა საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა. ხორბლის თესვა გრძელდება.

საჩხერის რაიონმა 12 ნოემბრისათვის 101,5 პროცენტით შეასრულა საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა. ხორბლის თესვა გრძელდება.

გაზეთ „სოვეტსკაია ბელორუსიის“ 25 წლისთავი

მინსკი, 13 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა გაზეთ „სოვეტსკაია ბელორუსიის“ რედაქციის თანამშრომელთა, ავტორთა აქტივისა და მკითხველთა კრება ქალაქის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთად, მიძღვნილი გაზეთის 25 წლისთავისადმი.

მოხსენება „გაზეთ „სოვეტსკაია ბელორუსიის“ 25 წელი“ გააკეთა რედაქტორმა ო. ა. ზდოროვენინმა.

წაკითხულ იქნა ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გაზეთების „პრავდისა“ და „იზვესტიის“ რედაქციების, ბელორუსიის სახალხო პოეტის იაკუბ კოლასისა და სხვათა მისალმებანი.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

ყველაზე ახალგაზრდა ზღვაში

ციმლიანსკის ნავსადგური, 14 ნოემბერი. (საკდესი). აქ ოდესიდან ვოლგა-დონის ნაოსნობის საბუქსირო გემებმა მოიყვანეს 100 ტონის ტვირთამზიდობის მცურავი ამწე. იგი განკუთვნილია აზერბაიჯანის ზღვის ნავთსარეწებში მუშაობისათვის.

გუშინ ციმლიანსკის ზღვაში მძვინვარებდა ქარიშხალი, რომელიც 10 ბალს აღწევდა. მას შემდეგ, როცა ზღვა დაწყნარდება, მძლავრი გადამტვირთავი მექანიზმი განაგრძობს გზას ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხით ვოლგისაკენ, ხოლო შემდეგ კასპიის ზღვით ბაქოსაკენ.

რეიდზე დგას კიდევ სამი დიდი მცურავი ამწე. ორ მათგანს ციმლიანსკის ნავსადგურის მუშები ამზადებენ „კუიბიშევჰიდრომშენისათვის“ და ერთს — „სტალინგრადჰიდრომშენისათვის“ გასაგზავნად.

იყენებენ რა სანავიგაციო დროის ყოველ წუთს, ვოლგა-დონის მემდინარენი ცდილობენ გადაზიდონ რაც შეიძლება მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი. გემებმა „ბაგრატიონმა“ და „აკადემიკოსმა ვინოგრადოვმა“ ციმლიანსკის ნავსადგურში მიიტანეს ვოლგის ხე-ტყის ტვინები, ხოლო გემმა „აკადემიკოსმა ასაფიევმა“ ვოლგის-პირეთის ქალაქებისათვის წაიყვანა დონის ხორბლით დატვირთული სამი კარჭაპი.

თვითმფრინავების საშუალებით სრულდება ათი სახეობის მინდვრის სამუშაო

სტალინო, 13 ნოემბერი. (საკდესი). სამოქალაქო ავიაციის მფრინავები დიდ დახმარებას უწევენ სტალინოს ოლქის კოლმეურნეებს ყანების მოსავლიანობის გადიდებაში. წელს მათ ჰაერიდან ერთიორად მეტი ფართობი დაამუშავეს, ვიდრე მეოთხე ხუთწლედის დამლევს, და დიდი გადაჭარბებით შეასრულეს წლიური დავალება.

თვითმფრინავების საშუალებით მინერალური სასუქები შეტანილია ათეულ ათასობით ჰექტარ საშემოდგომო ნათესებში. დიდ ფართობებზე პირველად გაიმარგლა პურეული თვითმფრინავებიდან განსაკუთრებული პრეპარატით, რომელიც სპობს სარეველა მცენარეებს და არავითარ ზიანს არ აყენებს ნათესს.

ბაღებსა და ტყის მასივებში შხამიანი ქიმიკატების მოსხურება, პურეულის დამტვერვა „დდტ“ პრეპარატებით და ჰექსახლორანით, ბამბის ნათესის დამუშავება ფოთლების გასაცლელად მანქანით კრეფის წინ და სხვ. უფრო ფართო მასშტაბით ხდებოდა ვიდრე გასულ წლებში.

ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავებმა წელს ათამდე სხვადასხვა სახეობის სასოფლო-სამეურნეო სამუშაო შეასრულეს.

მეხუთე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გადიდდება იმ სამუშაოთა რაოდენობა, რომლებიც ოლქის სოფლის მეურნეობაში თვითმფრინავების საშუალებით უნდა შესრულდეს.

ჩაის ზამთარგამძლე ჯიშები

ჩერნიგოვსკოე (კრასნოდარის მხარე), 13 ნოემბერი. (საკდესი). სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციები, რომლებიც კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ კალთებზე მდებარეობენ, მსოფლიოში ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე ჩაის პლანტაციებია. პლანტაციებმა წარმატებით გაუძლეს 35 გრადუს ყინვას თოვლის ქვეშ და 24 გრადუს ყინვას — უთოვლოდ. ჩაის ბუჩქი არა თუ გადარჩა, არამედ ზაფხულში თესლიც კი გამოიღო. აქ იღებენ თესლის უხვ მოსავალს, რომელიც განკუთვნილია ჩვენი ქვეყნის ახალ რაიონებში ჩაის პლანტაციების გაშენებისათვის.

რაიონის კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციები გადიდდება 45 ჰექტარით.

ახალი მოწყობილობა საფეიქრო საწარმოებისათვის

კამენკა (კიროვოგრადის ოლქი), 13 ნოემბერი. (საკდესი). ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის საფეიქრო საწარმოებს უგზავნის თავის პროდუქციას კამენკის მანქანათმშენებელი ქარხანა.

წელს საწარმოს კოლექტივმა აითვისა ახალი ავტომატური მასრებისა და აბრეშუმის ნართის გადასახვევი ავტომატების გამოშვება. მათი წარმადობა 4-6-ჯერ აღემატება წინათ არსებულთა წარმადობას. ეს ავტომატები ადვილი ასაწყობი და მარტივი სამართავია.

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

სტალინირის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

შედგა სტალინირის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. იმნაძემ.

მომხსენებელი ლაპარაკობს პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებზე სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალი აღმავლობის უზრუნველსაყოფად, ხაზგასმით აღნიშნავს პარტიის XIX ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვისა და დიდი ბელადის გენიალური ნაწარმოების „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

— უკანასკნელ დროს, — განაგრძობს მომხსენებელი, — სტალინირის და ჩვენი ოლქის ცალკეულმა საწარმოებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მუშაობა. მექანიკურმა ქარხანამ და ქალაქის სამრეწველო კომბინატმა 1 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს 10 თვის დავალებანი. ლუდის ქარხანამ, წნელისის ცალკის ფაბრიკამ და კირის ქარხანამ 7 ნოემბრისათვის უზრუნველყვეს წლიური გეგმების განაღდება. მაგრამ ზოგიერთ საწარმოთა კოლექტივები თავს ვერ ართმევენ დაკისრებულ მოვალეობას, ცუდად მუშაობენ სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის. მაგალითად, აგურის ქარხანას 1 ნოემბრისათვის წითელი აგურის გამოშვების წლიური გეგმა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 56,5 პროცენტით. განსაკუთრებით ცუდი ხარისხის პროდუქციას უშვებს სტალინირის კრამიტის ქარხანა.

შემდეგ ამხ. ა. იმნაძემ აქტივის კრების მონაწილეთა ყურადღება გამახვილა იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რაც სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში არსებობს. ოლქი ძალიან ჩამორჩა საშემოდგომო თესვაში. გეგმით გათვალისწინებული 17.530 ჰექტარიდან 10 ნოემბრისათვის საშემოდგომო ხორბალი დათესილი იყო მხოლოდ 8.100 ჰექტარზე, მოხნულია—12.000 ჰექტარი. განსაკუთრებით ცუდად მიმდინარეობს თესვა ზნაურის რაიონში. ჩამორჩება ახალი მიწების ათვისება. მიმდინარე წელს ოლქის კოლმეურნეობებმა უნდა ათვისონ 1.200 ჰექტარი ახალი მიწა, ათვისებულია კი მხოლოდ 240 ჰექტარი. დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

არასახარბიელო მდგომარეობაშია საზოგადოებრივი მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმების შესრულება.

ოლქის სოფლის მეურნეობის ასეთი ჩამორჩენა პირველ რიგში უნდა აიხსნას კოლმეურნეობებისადმი ცუდი ხელმძღვანელობით საოლქო პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მხრივ. ამის ნათელსაყოფად ამხ. იმნაძემ მოიყვანა მრავალი კონკრეტული მაგალითი.

მომხსენებელი შეჩერდა საბჭოთა ვაჭრობის საკითხებზე და აღნიშნა მუშაობის ამ მნიშვნელოვანი უბნისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების აუცილებლობა.

ამხ. იმნაძე შეეხო კადრებთან მუშაობის საკითხებს. პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა სერიოზული ღონისძიებანი განახორციელეს კადრების სწორად შერჩევისა და მათი განაწილებისათვის, მაგრამ ამ დარგში კვლავ ვხვდებით ნაკლოვანებებს. პარტიული კომიტეტები ხშირად ივიწყებენ ახლად დაწინაურებულ მუშაკს, კონტროლს არ უწევენ მის საქმიანობას, არ ეხმარებიან ხელმძღვანელობის მეთოდების გაუმჯობესებაში.

მოხსენებაში ფართო ადგილი ჰქონდა დათმობილი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. მკითხველთა წინაშე,—ამბობს იგი,—დიდ ვალში არიან სამხრეთ ოსეთის მწერლები. ჩვენს ლიტერატურაში ჯერ კიდევ ვხვდებით უიდეო, ხალტურულ ნაწარმოებებს. მომხსენებელი მკაცრად აკრიტიკებს მწერლების ნ. გოლოვანოვას, გ. ძიგოევის, გაფეზის და სხვათა შემოქმედებას. მოხსენებაში გაკრიტიკებულ იქნა საოლქო გაზეთი „კომუნისტი“.

ამხ. იმნაძე ლაპარაკობს პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის მიმდინარეობაზე და აღნიშნავს, რომ მიმდინარე წელს პოლიტსკოლებმა და წრეებმა უფრო ორგანიზებულად დაიწყეს მუშაობა. მომხსენებელმა კონკრეტული მაგალითებით ცხადყო, რომ ცალკეული პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია ფორმალიზმი. პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი დახმარებას.

— ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა,— ამბობს დასასრულ მომხსენებელი, — მოვაწყოთ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ სტალინის გენიალური ნაწარმოებების ახსნა-განმარტება და შესწავლა, მთელი ძალები დავრაზმოთ დიდი სტალინის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

ამხ. ა. იმნაძის მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

მოკამათეები ლაპარაკობდნენ იმ უმაგალითო სამეურნეო და პოლიტიკური აღმავლობის შესახებ, რაც გამოიწვიეს პარტიის XIX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, ამხანაგ სტალინის საპროგრამო სიტყვამ და ყრილობის წინ გამოქვეყნებულმა დიდი სტალინის კლასიკურმა ნაწარმოებმა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. რ. ასაევმა განაცხადა, რომ ოლქში მომუშავე მწერლები ჯერ კიდევ ჩამორჩებიან ცხოვრებას, მათ დღემდე არ შეუქმნიათ სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოებები თანამედროვეობის თემებზე. მართალია, სამხრეთ ოსეთის მწერალთა ორგანიზაციის იდეურად გასაჯანსაღებლად უკანასკნელ ხანებში სერიოზული ღონისძიებანი განხორციელდა, მაგრამ ცალკეულ მწერალთა შემოქმედებაში ახლაც იჩენს ხოლმე თავს უიდეობის განწყობილება. ორატორმა გააკრიტიკა პოეტების ი. პლიევის, ნ. ჯუსოევის, კ. მარგიევის, ნიგას, გ. ძიგოევის, კავკაზაგის ზოგიერთი ახალი ნაწარმოებები.

მაყურებელთა გაზრდილ მოთხოვნილებას დღემდე ვერ აკმაყოფილებს კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრი. თავის სიტყვაში თეატრის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. გ. პატარიძემ თეატრის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად დაასახელა ორიგინალური პიესების სიმცირე.

— ამ დღეებში, — ამბობს კომკავშირის სტალინირის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ხასიევი, — ქალაქის საწარმოებში მომუშავე ახალგაზრდობა პატრიოტული თავდადებით შრომობს. პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად აღფრთოვანებენ სტალინირელ ახალგაზრდობასაც. მაგრამ ჩვენი წარმატებანი კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლების საკითხებს რომ მთელი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდეთ. ამ საქმეში ჩვენ საკმაოდ არ გვეხმარებიან კომკავშირის საოლქო კომიტეტი და პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

სტალინირის მექანიკური ქარხნის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ა. ბულგაკოვმა განაცხადა, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი ჯერ კიდევ სათანადოდ არ იბრძვის ქალაქის საწარმოების მუშაობის გაუმჯობესებლად. საქალაქო კომიტეტის მრეწველობის განყოფილება და მისი გამგე ამხ. ზ. ძაგოევი საწარმოებისადმი კონკრეტულ ხელმძღვანელობას ათასგვარი ცნობების შეგროვებით ცვლიან. ამხ. ა. ბულგაკოვმა მკაცრად გააკრიტიკა აგრეთვე საოლქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების მუშაობა საწარმოებისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის.

სტალინირის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების გამგემ ამხ. ს. გაგლოევმა კრებას მოუთხრო იმ უდიდესი სამუშაოების შესახებ, რაც სტალინირის კეთილმოწყობისათვის უნდა განხორციელდეს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე „სტალინირვაჭრობის“. პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ლ. ხარებოვამ, ხე-ტყის კომბინატის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ა. მაისურაძემ, საოლქო გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა ამხ. ნ. ცოფერებოვმა და სხვებმა, სულ 11 კაცმა.

აქტივის კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება.

პარტიული აქტივის კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ამხანაგ სტალინისადმი. (საკ. კორ.).

სტალინგრადჰიდრომშენი. კუნძულ პესჩანიზე გრძელდება აგება ზღუდარისა, რომელიც ძირითად ჰიდრონაგებობათა ქვაბულს დაიცავს წყალდიდობისაგან.

ფოტო ა. მაკლეცოვისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა).

მოსკოვის ამბები

პლანეტარიუმში

მოსკოვი. („კომუნისტი“ კორ.). მოსკოველთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსკოვის პლანეტარიუმი. მარტო მიმდინარე წელს პლანეტარიუმის მუშაკებმა მოსკოველი მშრომელებისათვის მოაწყეს 3.500-ზე მეტი გამსვლელი ლექცია, რომლებსაც 400.000-ზე მეტი კაცი დაესწრო.

პლანეტარიუმის მეცნიერი მუშაკები კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს დედაქალაქის მრავალ საწარმო-დაწესებულებაში. ბევრი საწარმოს კლუბში მუშაობენ ასტრონომიული ლექტორიუმები, რომლებიც აწყობენ საინტერესო საღამოებს საბუნებისმეტყველო მეცნიერულ თემებზე.

დიდ ინტერესს იწვევენ საუბრები დედამიწის, ცის სხეულების მოძრაობისა და მათი შემადგენლობის შესახებ.

ტანსაცმლის 70 ახალი მოდელი

დღეს, 15 ნოემბერს, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მოდელების სახლში გაიხსნება მოდელების სახლთა მუშაკების მეშვიდე მეთოდოლოგიური თათბირი. საქართველოს მოდელების სახლი თათბირს გაუკეთებს საანგარიშო მოხსენებას საზონური მოდელირების საკითხებზე. საქართველოდან თათბირზე განსახილველად წარდგენილ იქნება 70 სახის ტანსაცმლის ახალი მოდელი, რომელთა დამუშავებისა და დამზადებისას ქართველმა მხატვრმა-მოდელიერებმა გამოიყენეს ქართული ხალხური ტანსაცმლის სტილი და ორნამენტი.

ქართულ ეროვნულ სტილზე დამუშავებულ მოდელებს შორის საუკეთესოდ არის აღიარებული ქალისა და ბავშვის 7 კაბა. დანარჩენი მოდელები დამუშავებულია რუსულ და უკრაინულ მოტივებზე. წინა პერიოდის მოდელებისაგან განსხვავებით, ახალი საბჭოთა მოდელების დამუშავებას საქართველოს მოდელების სახლს კოლექტივმა საფუძვლად დაუდო საქართველოს სხვადასხვა სამხატვრო გამოფენებიდან შეგროვებული ტანსაცმლის განვითარების ისტორიასთან დაკავშირებული მასალები.

ტანსაცმლის ახალი სახის მოდელების დამუშავებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მოდელიერებმა ა. კალანდაძემ, ე. სარქისიანმა, ე. ატაპინამ და ზ. კარასევამ. (საკ. კორ.).

წ ე რ ი ლ ე ბ ი რ ე დ ა ქ ც ი ა ს

გავაუმჯობესოთ შრომის მარტივი იარაღების წარმოება

შრომის მარტივი იარაღები: თოხი, ბარი, ნიჩაბი, ნაჯახი, წერაქვი, ცული, ნამგალი და სხვა ყოველ ოჯახშია საჭირო როგორც სოფლად, ისე ქალაქად. მიუხედავად ამისა, შრომის მარტივი იარაღების წარმოებას, მათ ხარისხობრივ გაუმჯობესებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ამის გამო ეს იარაღები ძნელი საშოვნია. მართალია, ზოგიერთი მათგანი ზოგჯერ გამოჩნდება რკინეულობის ამა თუ იმ მაღაზიაში, მაგრამ ისინი ძალიან დაბალი ხარისხისაა.

შრომის მარტივ იარაღებს კომპლექტურად არ ამზადებენ. მაგალითად, რკინისაგან თუ ცული ან თოხი გამოჰედეს, მათი ტარის დამზადებისათვის არავინ ზრუნავს. ამიტომ, თუ მომხმარებელმა თოხი იყიდა, მის ტარს ვერ იშოვნის. ზოგჯერ კი ტარი არის, თოხი არ იშოვნება.

გამსაღებელი ორგანიზაციების მოუქნელი მუშაობის შედეგად ზოგჯერ შრომის მარტივი იარაღები მთლიანად ცეკავშირის-სავაჭრო ქსელში იგზავნება და მაშინ თბილისელები მოკლებული არიან მათი შეძენის საშუალებას. ხდება პირიქითაც—მთელი პროდუქცია მხოლოდ თბილისმრეწვავაჭრობის ქსელში იყრის თავს და მაშინ კოლმეურნეებს ადგილობრივ აღარ შეუძლიათ მისი შეძენა.

სარეწაო კოოპერაციამ სახელმწიფო გეგმის მიხედვით წელს უნდა გამოუშვას 20 ათასი ნაჯახი, 14 ათასი თოხი, 50 ათასი ნიჩაბი და 25 ათასი სამყნობი დანა; ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — ვენახის შესაწამლავი 30 ათასი აპარატი, 10 ათასი სეკატორი, ამდენივე ბალის მაკრატელი და 3 ათასი ხილის საკრეფი. ეს რაოდენობა, ცხადია, ოდნავაც ვერ დააკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნილებას.

ისეთი იარაღები, როგორიც არის ბარი, წერაქვი, წალდი, ხერხი, ნამგალი და სხვ., დატოვებულია საგეგმო ორგანოების ნომენკლატურის გარეშე.

მარტივი იარაღების წარმოებაში უდარდელობას იჩენენ თბილისის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებაში. ამ სისტემაში შემავალმა ნავთლუღის სამჭედლო-მექანიკურმა სახელოსნომ (დირექტორი ბ. კობახიძე) წლევანდელი გეგმით უნდა გამოუშვას 2.200 თოხი და 8.000 წერაქვი. ეს რაოდენობა ნაკლებია შარშანდელთან შედარებით. სამწუხაროდ, სახელოსნო ამ შემცირებულ გეგმასაც ვერ ასრულებს.

უარესი მდგომარეობაა სარეწაო კოოპერაციაში. ამ სისტემის ერთ-ერთმა მძლავრმა არტელმა „მელითონემ“ თითქმის შეწყვიტა შრომის მარტივი იარაღების წარმოება.

საჭიროა ბოლო მოეღოს უყურადღებობას შრომის მარტივი იარაღების წარმოებაში. აუცილებელია ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ თავის ხელში აიღოს ასეთი იარაღების წარმოების საქმე და უზრუნველყოს მათი საკმაო რაოდენობით გამოშვება.

ი. ნანავა.

მოვანესრიგოთ მაგზარებლების მიმოსვლა თბილისსა და რუსთავს შორის

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ რკინიგზის ტრანსპორტით მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით რუსთავ-თბილისს შორის რამდენიმე დამატებითი მატარებელი გამოჰყო.

მაგრამ ეს არ ხსნის რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელებს პასუხისმგებლობას მთელი რიგი იმ ნაკლოვანებებისათვის, რომლებსაც ვხვდებით რეგიონორების, გამცილებლებისა და მატარებლის სხვა მომსახურე პერსონალის მუშაობაში.

უკანასკნელ ხანს არის შემთხვევები, როცა მატარებლები, განსაკუთრებით რუსთავიდან თბილისისაკენ მომავალნი, სისტემატურად აღრეკენ მოძრაობის გრაფიკს, ხშირად ნახევარი, ერთი საათით და ზოგჯერ უფრო მეტი დაგვიანებით მოდიან დანიშნულ ადგილას.

აღსანიშნავია სხვა დარღვევებიც. ვაგონები მგზავრებით ძალიან რომ არ დაიტვირთოს, ზოგიერთი გამცილებელი გაჩერებაზე თავისი მომსახურების ვაგონის კარს კეტავს. სისუფთავის მხრივაც არ არის დამყარებული წესრიგი.

თბილის-რუსთავს შორის მატარებლების მიმოსვლა უნდა მოწესრიგდეს.

დ. რამიშვილი.

დავაჩქაროთ სკოლა—ინვერნატისათვის შენობის აგება

თბილისში კარგარეთლის ჭუჩაზე მდებარეობს ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატი (დირექტორი გ. მგალობლიშვილი).

შარშან აქ კლასიდან კლასში გადაყვანილ იქნა 144 მოსწავლე, რომლებმაც კარგად აითვისეს პროგრამით გათვალისწინებული მასალები. მათს სწავლებას ემსახურებიან სურდოლოგოპედაგოგები ნ. ასამბაძე, ა. კიშაური, ე. ბაქრაძე, თ. ცაავა, ვ. ლორთქიფანიძე, ვ. შარაშიძე. ისინი საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა გამოყენებით ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ყრუ-მუნჯ ახალგაზრდებს გზა გაუხსნან განათლებისაკენ.

ერთი მტკივნეული საკითხის შესახებ. შარშან ზემდგომი ორგანოების დადგენილებით გეგმაში შეტანილ იქნა ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატისათვის დამატებით სამსართულიანი შენობის აგება. მშენებლობა წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ჯერ მხოლოდ პროექტია შედგენილი. ახალი შენობა საშუალებას მისცემს სკოლას მთლიანად გაატაროს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონი, უზრუნველყოს ბავშვთა არა მარტო სასწავლო, არამედ საყოფაცხოვრებო მომსახურებაც.

საჭიროა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ დროულად მიიღოს ზომები სკოლა-ინტერნატის შენობის აგების დასაჩქარებლად.

მ. ბარათაშვილი.

გერმანიის მშვიდობისა და ეროვნული გაერთიანების ინტერესებისათვის

○

„პრავდის“ 14/XI მოწინავე

○

ხალხთა მოძრაობამ მშვიდობის დასაცავად ამჟამად ისტორიაში უმაგალითო გაქანება მიიღო. მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დაცვის დემოკრატიული ლოზუნგების გარშემო ირაზმება ასეულ მილიონობით ადამიანი. მტკიცდება პროგრესული კაცობრიობის მისწრაფება — ალაგმოს და გარიყოს იმპერიალისტი აგრესორების ბანაკის ავანტიურისტები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი მოგებისათვის თავს დაატეხონ მსოფლიოს სისხლისმღვრელი ომი.

მიუხედავად ომის გამჩაღებელთა და მათი მემარჯვენე სოციალისტი მსახურების გაწაფული პროპაგანდისა, რომლებიც ცდილობენ სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხის მასები, სულ ახალი მილიონობით ადამიანი ხვდება, რომ ამერიკელი იმპერიალისტები თავიანთ სამხედრო გეგმებს აშენებენ იმ ვარაუდით, რომ გამოიყენონ სხვათა ტერიტორიები, ბრმა იარაღად და საზარბაზნე ხორცად გამოიყენონ სხვა ხალხები ამერიკელ მონოპოლისტთა მერ მსოფლიო ბატონობის მოპოვებისათვის.

იმპერიალისტ აგრესორთა განსაკუთრებული ვარაუდი დაკავშირებულია დასავლეთ გერმანიასთან. შეინარჩუნონ და გააღრმავონ გერმანიის გათიშვა, რაც ამერიკა-ინგლისის ბლოკმა მოახდინა, ამერიკის იმპერიალიზმის ჩექმით გათელილი დასავლეთი გერმანია გადააქციონ ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის მთავარ ტრამპლინად, ხოლო გერმანელი ხალხი — ოკეანესგაღმელი ავანტიურისტების დაქირავებულად — ასეთია ახალი ომის გამჩაღებელთა კაცთმოძულეობრივი განზრახვა.

ხალხთა დამონების, ომის გაჩაღების ამ დანაშაულებრივ იმპერიალისტურ პროგრამას უპირისპირდება გერმანიის ხელი პროტესტს ბონის ხელშეკრულების წინააღმდეგ და მოთხოვნას გერმანიასთან ყოველმხრივი საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ.

როგორც ხაზგასმით არის აღნიშნული გერმანიის ეროვნული გაერთიანების პროგრამაში, რომელიც გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა და გუშინ გამოქვეყნდა, გერმანელი ხალხის ძირითადი მოთხოვნები კვლავ არის ერთიანობა, მშვიდობა და დამოუკიდებლობა. „მთავარი დაბრკოლებაა, — ნათქვამია პროგრამაში, — საერთო ხელშეკრულება და პარიზის სამხედრო შეთანხმება, რომლებიც გერმანელ ხალხს უხშობენ ამ მოთხოვნების განხორციელების გზას და რომლებიც მას გათიშვისა და ომის გზაზე აყენებენ. ეს დაბრკოლება უნდა აღიკვეთოს. ამიტომ უახლოესი მიზნები, რომელთა განხორციელებას გერმანელმა ხალხმა უნდა მოახმაროს მთელი თავისი ენერგია, არის საზავო ხელშეკრულების დადება, სრულიად გერმანიის არჩევნები გერმანიის გაერთიანების მიზნით და საოკუპაციო ჯარების გაყვანა“. ეროვნული გაერთიანების პროგრამას გულმხურვალედ დაუჭირა მხარი გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ.

გერმანელი პატრიოტების მტკიცე დასაყრდენს მშვიდობისა და სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში წარმოადგენს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. განამტკიცებს რა მეგობრობასა და თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან და სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებთან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა წარმატებით მიდის წინ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის გზით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებანი გერმანიის ყველა პატიოსან ადამიანს უჩვენებენ სამშობლოს მშვიდობის, ერთიანობისა და აყვავების სწორ გზას.

„...ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის საძირკვლის ჩაყრასთან ერთად, — სწერდა ამხანაგი სტალინი 1949 წლის ოქტომბერში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ვ. პიკს და პრემიერ-მინისტრ ო. გროტეოლს, — **თქვენ დიდ საქმეს აკეთებთ მთელი ევროპისათვის, უზრუნველყოფთ მისთვის მტკიცე მშვიდობას. შეგიძლიათ არ დაეჭვდეთ, რომ ამ გზით სვლასა და მშვიდობის საქმის განმტკიცებაში თქვენ ჰპოვებთ მსოფლიოს ყველა ხალხის, მათ შორის ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი, პოლონელი, ჩეხოსლოვაკიის, იტალიელი ხალხების დიდ თანაგრძნობასა და აქტიურ მხარდაჭერას, მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხზე რომ აღარა ვთქვათ რა“.**

ამხანაგ სტალინის სიტყვების სიმართლეს ადასტურებს მოვლენათა მთელი მსვლელობა. მტკიცდება გერმანელ ხალხთან ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხების მეგობრობისა და სოლიდარობის კავშირი.

10 ნოემბერს ბერლინში მუშაობა დაამთავრა გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის საერთაშორისო კონფერენციამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ევროპის თხუთმეტი ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მრავალმა წარმომადგენელმა. კონფერენციამ განაცხადა, რომ ბონისა და პარიზის ხელშეკრულებანი, რომელთაც დასავლეთ გერმანიას თავს ახვევს ვაშინგტონი, იწვევენ გერმანიის გათიშვის გაორმაგებას, გერმანელთა შორის ძმათამკვლელი ომის საფრთხის გაძლიერებას და ამიტომ ისინი საბოლოოდ უარყოფილ უნდა იქნან. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადების ერთადერთი სწორი გზა, განაცხადა კონფერენციამ, ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკებაა. გერმანელმა ხალხმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მოლაპარაკებაში საზავო ხელშეკრულების შესახებ.

საერთაშორისო კონფერენციის მუშაობის მსვლელობაში ერთმანეთს შეხვდა დასავლეთ გერმანიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 150 წარმომადგენელი, რომლებმაც მათ მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნეს, რომ საჭიროა ყველა გერმანელმა იბრძოლოს ბონისა და პარიზის სეპარატულ ხელშეკრულებათა წინააღმდეგ, გერმანიის გათიშვის წინააღმდეგ, სამშობლოს ერთიანობისათვის.

იმავე დღეებში ბერლინში სხდომა ჰქონდა გერმანიის რემილიტარიზაციის საწინააღმდეგო ევროპის მუშათა კომიტეტს. ბელგიის, რუმინეთის, საფრანგეთის, უნგრეთის, ნორვეგიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების დელეგატებმა მოიყვანეს მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ ევროპის ყველა ქვეყანაში ხშირდება მუშათა კლასის გამოსვლა დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ.

გუშინ საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ფრანგი და გერმანელი პატრიოტების ერთობლივი წინააღმდეგობა დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისადმი ახალ მდგომარეობას ქმნის გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, განაცხადა ვ. პიკმა, ვერასოდეს ვერ შეუერიგდება იმას, რომ გერმანიის მხრიდან როდისმე კვლავ წარმოებდეს ომი ფრანგი ხალხის წინააღმდეგ.

ყველგან ასე ფართოვდება და მტკიცდება კაცობრიობის მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლა ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა იმ იდების წინააღმდეგ, რომ გერმანია გამოიყენონ თავიანთი დანაშაულებრივი მიზნებისათვის. გერმანელი ხალხის ბრძოლას თავისი ქვეყნის მშვიდობისათვის, ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის მძლავრად უჭერს მხარს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, იგი ერთვის მათს ბრძოლას მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის.

სძლევს რა მშვიდობის მტრების გაფთრებულ წინააღმდეგობას, პროგრესული კაცობრიობა მტკიცედ იბრძვის გერმანიის პრობლემისა და სხვა ომისშემდგომი საკითხების მშვიდობიანი გადაჭრისათვის, ხალხთა მორის მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

მეჯი ყურადღება საბინაო მეურნეობას

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა დედაქალაქის შემდგომი კეთილმოწყობის საქმეში. მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად შენდება ახალი შესანშნავი, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები.

წელს შარშანდელთან შედარებით ერთიორად გაიზარდა საბინაო ფონდი. უფრო მეტი ყურადღება ექცევა ზამთრისათვის საქალაქო მეურნეობის მომზადებას, უმჯობესდება არსებული საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობაც.

წარმატებები მეტი იქნებოდა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველო, რაისაბჭოები უფრო უკეთესად და ოპერატიულად რომ მუშაობდნენ, ჯერჯვან ყურადღებას რომ აქცევდნენ მშრომელთა საჩივრებსა და კრიტიკულ შენიშვნებს.

ყოველდღიურად მშრომელთა მრავალი განცხადება და საჩივარი შედის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომთა საბინაო სამმართველოებში. განცხადებათა უმეტეს ნაწილს სათანადო რეზოლუციებით აძლევენ „მიმართულებას“, მაგრამ ხშირად შესრულების შემოწმებაზე აღარავინ ფიქრობს.

ჯერ კიდევ თბილისის XXI საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე ერთ-ერთ შეუწყნარებელ ფაქტად დასახელებული იყო პეტრიწის ქუჩის № 30 სახლის ეზოში შექმნილი ანტისანიტარული მდგომარეობა; კერძოდ ნათქვამი იყო, რომ კანალიზაციის დაზიანების გამო ეზოც და ქუჩის ნაწილიც გაბინძურებულია, სახლი მოუვლელია. მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ ამხ. ხომასურიძემ ვალის მოსახდელად ამ სახლის რემონტის შესახებ მრავალი განკარგულება გასცა. ამ მხრივ ენერგია არ დაიშურა საბინაო სამმართველოს უფროსმა ამხ. შეღაროვმაც. საბინაო სამმართველოში არის „დოკუმენტები“, რომლებიღაც ჩანს, რომ მარტო მიმდინარე წელს აღნიშნულ საცხოვრებელ სახლს რამდენჯერმე გაუკეთეს რემონტი.

როგორია ნამდვილი სურათი? დასახელებულ სახლს რემონტის კვალიც არ ატყვია, უსუფთაობა და ანტისანიტარია კვლავ გრძელდება. მოქალაქე ს. გარდიშვილის ბინის კედელი ავარიულ მდგომარეობაშია. საბინაო სამმართველოს მუშაკები განსაკუთრებული კმაყოფილებით მიგვითითებდნენ „გარემონტებულ“ სახურავზე. სამწუხაროდ, მოქალაქეების — ს. თურნავას, გ. ჭყონიას, ნ. ტაგიზადეს ბინებში წყალი კვლავ ჩამოდის, ჭერიც ჩამონგრეულია. სახლის სხვენი ანტისანიტარულ მდგომარეობაშია.

ვხვდებით ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ არსებული საბინაო ფონდისადმი აშკარა დანაშაულებრივი დამოკიდებულების ფაქტსაც. დავასახელებთ მხოლოდ ერთ მაგალითს. „საქმშენის“ მეორე სამშენებლო კანტორამ (უფროსი ნ. ზუკაკიშვილი) სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე მიმდინარე წლის მაისის ბოლოს მარჯანიშვილის ქუჩის № 31 სახლზე დაიწყო მეოთხე სართულის დაშენება, რომელიც უნდა დამთავრებულიყო 30 სექტემბრისათვის, სახლის სახურავის სამუშაოები კი 20 აგვისტოსათვის.

მაგრამ საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად გეგმა მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. შენობა ახლაც გადაუხურავია, რის გამო საგრძნობლად დაზიანდა არსებული კეთილმოწყობილი ბინები, რომელთა შეკეთებას დიდი თანხა სჭირდება. სახლის მობინადრეების ბ. ტუროვსკის, ა. ბუაძის, თ. ჯაბადარის და სხვათა ოთახების ჭერი ჩამონგრეულია, მოსაღლდნელია კედლების დაზიანებაც.

უფრო მეტიც. ზამთრის პირველი დღეები დადგა, მობინადრეებს კი შესაძლებლობა არა აქვთ ისარგებლონ საჭირო გათბობით, ქურებით, რადგან საკვამლე მილების აყვანა ჯერჯერობით შეუძლებელია. სამშენებლო კანტორის მუშაკები, პირველ რიგში მისი უფროსი ნ. ზუკაკიშვილი და სამუშაოთა მწარმოებელი მ. კენკიშვილი ასეთ აღმაშფოთებელ ფაქტებს გულდამშვიდებით შესცქერიან.

საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენენ თბილკანალტრესტის სარემონტო კანტორის ხელმძღვანელებიც. ცხემის ჩიხის კანალიზაციის ქსელის შეკეთების დროს მათ „რეკორდს“ მიაღწიეს: ახალი მილები ნაცვლად 6-სა მიწაში 3 მეტრის სიღრმეზე ჩაყარეს, რის გამო ცხემის ჩიხის № 1 სახლის კანალიზაციის მილი ქუჩის მაგისტრალიდან სამი მეტრით დაბლა დარჩა. ამან გამოიწვია წყალის დაგუბება და აღნიშნული სახლის საყრდენი კედლის ჩამონგრევა, რომლის შეკეთება რამდენიმე ათას მანეთს მოითხოვს.

მარტო ქაღალდების დაუსრულებელმა მიწერ-მოწერამ ცხემის შესახვევის № 2 სახლი ავარიულ მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანა. ბერიას რაისაბჭოს აღმასკომისა და მისი საბინაო სამმართველოს (უფროსი დ. იაშვილი) მუშაკებს ალბათ ეს საქმე „წვრილმანად“ მიაჩნიათ.

საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა კიროვის რაიონში. აქ საცხოვრებელი ბინების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებაზე განკუთვნილ თანხებს რატომღაც ვერ ითვისებენ. რაიონის საბინაო სამმართველო (უფროსი კ. თუშმალიშვილი) და სარემონტო კანტორა (უფროსი თ. სიხარულიძე) საცხოვრებელი ბინების მოვლა-პატრონობისადმი სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ. აზიზბეკოვის ქუჩის № 26 სახლის კაპიტალური რემონტი რამდენიმე თვეა წყვეტილად მიმდინარეობს, აგური და სხვა საშენი მასალა ქუჩაზე უპატრონოდ ყრია.

როგორც იქნა დაიწყეს ფეთხაინის აღმართის № 8 სახლის რემონტი. ამ საქმეს სამუშაოთა მწარმოებელი ი. ქურციძე ხელმძღვანელობს. სახლის სახურავზე ნაყარი ქვები და მიწა მოხალტურეებმა ერთ მხარეს შეაგროვეს. მათ არ გაითვალისწინეს, რომ ეს გამოიწვევდა სახურავის ჩამონგრევას. ამით არც რაიონის საბინაო სამმართველოსა და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები დაინტერესებულან. საქმისადმი ამ დანაშაულებრივი დამოკიდებულების შედეგად სახურავი ჩამოინგრა, რასაც მეტად არასასიამოვნო შედეგი მოჰყვა.

საბინაო ფონდისადმი ასეთი უპასუხისმგებლო, ანტისახელმწიფოებრივი დამოკიდებულება იმას მოწმობს, რომ რაისაბჭოს აღმასკომის (თავმჯდომარე ამხ. კოპალიანი) ხელმძღვანელები ყურს არ უგდებენ მშრომელთა სიგნალებს, არ იცნობენ ნამდვილ მდგომარეობას, ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს კაბინეტიდან ხელმძღვანელობენ.

საბინაო ფონდის დაცვის საქმეში ნაკლოვანებებს ადგილი აქვს აგრეთვე 26 კომისრის, ორჯონიკიძისა და სხვა რაიონებში.

ქალაქის და რაიონულ საბინაო სამმართველოებში შენიღბული ბოროტმოქმედნი ეწევიან სპეკულაციას საბინაო ფონდით. სტალინის რაიონის საბინაო სამმართველოსთან არსებულ პარტორგანიზაციაში შევიდა სიგნალი, რომ № 42 სახლის მმართველი შ. რევაზიშვილი ვიღაც „მაკლერ“ შ. ლაბაძესთან ერთად ბინებით სპეკულაციას ეწევა. სიგნალს რატომღაც წუყრუეს. სინამდვილეში გამოირკვა, რომ ბოროტმოქმედებმა შ. რევაზიშვილმა და შ. ლაბაძემ გორის ქუჩის № 26 სახლის ერთ-ერთი ბინის გაყიდვა-გაფორმებისათვის დიდი თანხა მიიღეს. კომბინატორებმა ამ ბინაში ჩასაწერად მოქალაქე ე. ბახტაძეს საჭირო „ხელშეკრულებაც“ კი გაუფორმეს...

ულირსმა სახლმმართველმა ა. გოფაძემ (კიროვის რაიონი) ვინმე აბაშიძეს ქრთამის სახით 2.000 მანეთი გამოართვა, რის შემდეგ იგი რიჟინაშვილის ქუჩის № 1 სახლის ერთ-ერთ ოთახში დააბინავა.

ზემოაღნიშნულ დანაშაულობათა და დამახინჯებების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ზოგჯერ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კადრების სწორად შერჩევისა და განაწილების საქმეს. მარტო ერთი წლის განმავლობაში ბერიას რაიონის სარემონტო კანტორის ექვსი დირექტორი შეიცვალა, ხოლო ექვსი თვის მანძილზე კიროვის რაიონის სარემონტო კანტორას დირექტორი არ ჰყავდა. სარემონტო კანტორის მუშაკთა შორის დაბალ დონეზეა დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

საჭიროა წესრიგი დამყარდეს საბინაო სამმართველოების მუშაობაში.

ა. გოცირიძე,
შ. ჭოჭუა.

ახალი საავეჯო ფაბრიკა

რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ ცენტრში — ქუთაისში საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს გამოუყვეს 6 ჰექტარი მიწის ფართობი ახალი საავეჯო ფაბრიკის ასაგებად. უკვე შედგენილია შენობის ასაგები პროექტი, დაწყებულია გამოყოფილი ფართობის ათვისება. ფაბრიკა, რომელიც აღჭურვილ იქნება ხის დამუშავებელი მრეწველობის უახლესი ტექნიკით, გამოუშვებს საყოფაცხოვრებო ავეჯს: მაგიდებს, სკამებს, გარდერობებს, შიფონერებს, ტუმბოებს, საწოლებს და სხვ.

გათვალისწინებულია ფაბრიკასთან გაიხსნას გრეხილი ავეჯის საამქრო, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 200 ათასამდე ცალ ახალი ნიმუშის სკამს. მთლიანად ფაბრიკა წელიწადში გამოუშვებს ორი მილიონი მანეთის პროდუქციას.

ფაბრიკის მშენებლობის დამთავრება და მისი ამუშავება გათვალისწინებულია მომავალი წლის დასასრულისათვის.

გარდამავალი დროშები მოწინავე საწარმოებს

ხაშური. (საკ. კორ). პარტიის XIX ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით გაანაღდეს ხაშურის საორთქლმავლო და სავაგონო დეპოების, აგრეთვე სალიანდაგო დისტანციის კოლექტივებმა.

მეორთქლმავლეებმა სექტემბერში უზრუნველყვეს გრაფიკის ზუსტად დაცვა, მატარებლებისათვის ორთქლმავლების შეუფერხებელი მიწოდება, სადღეღამისო გარბენის დავალება შეასრულეს 109,3, ხოლო ტექნიკური სიჩქარისა — 107,6 პროცენტით, დაზოგეს საწვავის 10 პროცენტი, საგრძნობლად შეამცირეს თვითღირებულება და მიაღწიეს მატარებლების უშიშარ და უწუნო მუშაობას.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მორპოვეს ხაშურელმა მევაგონეებმაც.

სექტემბერში მოპოვებული ამ წარმატებებისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს ხაშურის საორთქლმავლო და სავაგონო დეპოების და სალიანდაგო დისტანციის კოლექტივები (უფროსები: გ. თომაძე, გ. ოტიაშვილი, ბ. გოგიჩაიშვილი), მიაკუთვნეს მათ პირველი ადგილები და გარდამავალი დროშები.

შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმო

სამტრესტის ღვინის პირველი ქარხანა მესამე კვარტალის საწარმოო შედეგების მიხედვით კვლავ გამარჯვებული გამოვიდა სოციალისტურ შეჯიბრებაში. ქარხანას მეორედ მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ქარხნის კოლექტივმა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების მესამე კვარტალის გეგმა შეასრულა 124 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაადიდა 13 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა 2,4 პროცენტით და სახელმწიფოს 236 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მისცა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი წარმატებები მოიპოვა საჩამოსხმო საამქრომ (მეღვინე ც. რუსაძე), რომელმაც მესამე კვარტალის დავალება 130 პროცენტით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით 17 ათასი დეკალიტრი ღვინო ჩამოასხა.

მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს ღვინის ჩამომსხმელმა ნ. გოგიაშვილმა, მფილტრავმა ნ. ბიტარიშვილმა, ბოთლების მრეცხავებმა ნ. ბურდულმა, მ. დანელიამ და სხვებმა.

სარესპუბლიკათაშორისო სტახანოვური სკოლა

პურის ცხობის მრეწველობაში მუშაობის ნოვატორული მეთოდების ფართოდ გავრცელების მიზნით სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო თბილისში ხსნის სარესპუბლიკათაშორისო სტახანოვურ სკოლას საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პურის ქარხნების მუშებისათვის.

მასწავლებლებად გამოყოფილი არიან პურ-ფუნთუშის მრეწველობის საუკეთესო სპეციალისტები.

ეროვნული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ყურადღებას

პლენარულ სხდომაზე

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. (საკადესი). გენერალური ასამბლეის 11 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე საერთო დისკუსიაში გამოვიდნენ ინდოეთის დელეგაციის მეთაური ლაქშმი პანდიტი, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი, საბერძნეთისა და კოსტა-რიკის დელეგატები.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის გამოსვლამ პირველი კომიტეტის 10 ნოემბრის სხდომაზე კვლავ დააყენა კორეის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ყურადღების ცენტრში. ასამბლეის სხდომაზე ყველა გამოსული აღიარებდა, რომ კორეის საკითხი თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მთავარი საკითხია. ამასთან ერთად ა. ი. ვიშინსკის გამოსვლამ, რომელმაც ცხადყო ყველა იმ საბუთის უსაფუძვლობა და სიყალბე, რაც მოჰყავდათ ამერიკა-ინგლისის ბლოკის წარმომადგენლებს, რომლებიც ცდილობდნენ გაემართლებინათ საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა კორეაში ამერიკის შეერთებული შტატების სარდლობის მიერ, რომელიც უარს ამბობს კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების რეპატრიაციაზე, აშკარად შეაშფოთა კორეის შესახებ რეზოლუციის ამერიკის პროექტის ავტორები და თანაავტორები.

ამან განსაკუთრებით იჩინა თავი ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ იდენის გამოსვლაში. შეეხო რა კორეის საკითხს და ხაზგასმით აღნიშნა რა მისი მნიშვნელობა, იდენმა მაინც განაცხადა, რომ იგი „იურისტი არ არის“, და ამ საბაბით გვერდი აუარა კორეაში მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ რეზოლუციის საბჭოთა პროექტისა და იმ ფაქტების „განხილვას, რომლებიც ა. ი. ვიშინსკომ მოიყვანა, ამხილებდა რა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მიმყოლი ქვეყნების მმართველ წრეებს, რომლებსაც არა სურთ კორეის ომის შეწყვეტა. იდენი მიემხრო ამერიკის სამხედრო სარდლობის პოზიციას სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხში, ამასთან არ ცდილა რაიმე ეთქვა ამ სარდლობის უკანონო მოქმედების გასამართლებლად, რომელიც ძალით აკავებს სამხედრო ტყვეებს ამერიკის ბანაკებში. რაკი არ შეეძლო რაიმე ეთქვა არსებითად კორეაში მშვიდობიანი მოწესრიგების კომისიის შექმნის შესახებ რეზოლუციის საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ, იდენი დაკმაყოფილდა მხოლოდ განცხადებით იმის შესახებ, რომ „იგი არ დავობს, რომ უფრო გვიანდელ სტადიაზე შეიძლება საჭირო გახდეს ასეთი კომისია“.

თავისი სიტყვის დასაწყისში იდენი სხდომას დაჰპირდა იმ მიზეზების ჩამოთვლას, რომლებიც ხელს უშლიან უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მაგრამ მან თავი აარიდა ამ საკითხების განხილვას, ხოლო მისი ეჭრი გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების შესახებ, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მუშაობის, ავსტრიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ ამოიწურა უშნიროების საბჭოში, განიარაღების კომისიაში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებში ამერიკისა და ინგლისის წარმომადგენელთა წინანდელი უსაფუძვლო მტკიცების უფერული განმეორებით. მაგალითად, ილაპარაკა რა ავსტრიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხზე, იდენი ცდილობდა გაემართლებინა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეების პოლიტიკა ამ საკითხში და ეგრეთწოდებული „შემოკლებული ხელშეკრულება“ გაესაღებინა ავსტრიის პრობლემის ერთგვარ გადაჭრად, მაშინ როცა, როგორც ყველამ იცის, ხელშეკრულების ეს პროექტი ავსტრიისათვის არ უზრუნველყოფს არც დამოუკიდებლობასა და არც დემოკრატიულ განვითარებას. იდენი ცდილობდა აგრეთვე უარეყო ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები არიან პასუხისმგებელნი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკების ჩაშლისათვის.

შეეხო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მუშაობას, ინგლისის წარმომადგენელმა ფაქტების საწინააღმდეგოდ განაცხადა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციებმა ამ კომისიის განსახილველად შეიტანეს რაღაც „კონსტრუქციული წინადადებანი“. მაგრამ იდენს არ უთქვამს, რა იყო ეს წინადადებანი, რადგან ყველამ იცის, რომ ამერიკა-ინგლისის წინადადებანი დუმილით უვლიდნენ გვერდს საკითხებს ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის აკრძალვის შესახებ, აგრეთვე შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ და ამ საკითხების გადაწყვეტას ცვლიდნენ იმით, რომ მოითხოვდნენ პირველ რიგში შეიარაღების „გამოვლინებისა და შემოწმების“ განხორციელებას.

ილაპარაკა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღებაზე, იდენს ერთი სიტყვაც არ უთქვამს შეერთებული შტატებისა და ინგლისის პოზიციაზე, რომლებმაც არაერთგზის უარყვეს საბჭოთა წინადადებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ 14 სახელმწიფოს ერთდროულად მიღების შესახებ, რომლებმაც საამისო განცხადებანი შეიტანეს. იდენმა განაცხადა, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღებულ იქნან ისეთი ქვეყნები, როგორიც არის იტალია, პორტუგალია და ცეილონი, მაგრამ კრინტი არ დაძრა იმაზე, რომ ბულგარეთმა, რუმინეთმა, უნგრეთმა, ალბანეთმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ შეიტანეს განცხადებები მიღების შესახებ და რომ ამერიკა-ინგლისის ბლოკი ყოველნაირად ეწინააღმდეგება მათს მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

როგორც, მისივე თქმით, „კოლონიური სახელმწიფოს წარმომადგენელმა“, იდენმა საჭიროდ მიიჩნია განეცხადებინა, რომ გენერალური ასამბლეა და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მთლიანად უნდა მოერიღონ კოლონიურ სახელმწიფოთა პოლიტიკაში „ჩარევას“, და მხარი დაუჭირა საფრანგეთის წარმომადგენელს, რომელიც ამტკიცებდა, გენერალური ასამბლეა „უფლებამოსილი არ არის“ ტუნისისა და მაროკოს საკითხები განიხილოსო.

იდენის სიტყვა შეიცავდა მთელ რიგ ცილისმწამებლურ გამოხდომებს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

სხდომაზე გამოსულმა ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა პანდიტმა თავისი სიტყვა დაიწყო განცხადებით, რომ ასამბლეა შეიკრიბა „მზარდი კრიზისის ატმოსფეროში“, რომ „ომი კორეაში გრძელდება“ და რომ ამიტომ „პირველხარისხოვანი მნიშვნელობის პრობლემას, რომელიც ასამბლეის წინაშე დგას, წარმოადგენს მშვიდობის დამყარება კორეაში“.

მაგრამ შემდეგ ინდოეთის წარმომადგენელმა თავის სიტყვაში გვერდი აუარა ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას და არ უთქვამს, თუ რა უნდა იღონოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ომისათვის, რომ კორეაში ომი შეწყდეს.

პანდიტი შეეხო სხვა საკითხებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში. „ჩინეთის სახალხო მთავრობა, — თქვა მან, — დაშვებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სანამ ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი არ გადაწყდება ახლანდელი მდგომარეობის აშკარა ფაქტების შესაბამისად, ჩვენი დისკუსია აქ არარეალური იქნება. ისეთი საერთო პრობლემისთვისაც კი, როგორიც არის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება, ჩინეთის წარმომადგენლის დაუსწრებლობა სერიოზული შეზღუდვაა“.

პანდიტმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ინდოეთი თანაგრძნობით ეპყრობა ტუნისისა და მაროკოს მისწრაფებას სრული თვითმმართველობის მოპოვებისადმი. მან აგრეთვე აღნიშნა ის საშიში მდგომარეობა, რაც სამხრეთ აფრიკაში შეიქმნა ინდოელთა რასობრივ დევნასთან დაკავშირებით.

შემდეგ გამოსულმა საბერძნეთისა და კოსტა-რიკის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ამერიკის სარდლობის პოზიციას სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხში.

კოსტა-რიკის წარმომადგენელმა, ილაპარაკა რა სუსტად განვითარებული ქვეყნების მდგომარეობაზე, აღნიშნა, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობა „უკიდურესი სიღატაკის“ პირობებში ცხოვრობს და, მიმართა რა ამერიკა-ინგლისის ბლოკის ხელმძღვანელებს, მოუწოდა მათ „დახმარება“ გაუწიონ ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას, და დასძინა, რომ მათ ეს უნდა ქნან თუნდაც „თავის გადარჩენის გრძნობით“.

ნიუ-იორკი, 13 ნოემბერი. (საკადესი). 12 ნოემბერს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია. პირველი გამოვიდა ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი ფაოაგ ტაია, რომელმაც გაერთიანებულ ერებს მიმართა მოწოდებით მხარი დაუჭირონ ტუნისელი და მაროკოელი ხალხების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ფაოაგ ტაიამ გააკრიტიკა შუმანის სიტყვა, რომელიც ხელს არ უწყობს ჩრდილოეთ აფრიკაში მშვიდობის საქმეს.

შემდეგმა ორატორმა — პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზაფრულა-ხანმა ხაზგასმით აღნიშნა პაკისტანის მზადყოფნა — ითანამშრომლოს იმ იმედით, რომ მიღწეულ იქნება კორეის ომის მოწესრიგება ასამბლეის ახლანდელ სესიაზე, და განაცხადა, რომ ამას რომ მივაღწევდეთ, ეს გზას გაუხსნიდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაძაბული ურთიერთობის შენელებას სხვა სფეროებშიც, რასაც მთელი მსოფლიო მოუთმენლად ელოდება.

შემდეგ გამოსულმა ბელორუსიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კისელიოვმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იდენის ცდისა — ბრალი საბჭოთა კავშირს დასდოს, ცხადია, რომ გასული წლის მანძილზე ამერიკა-ინგლისის ბლოკი კვლავ აბრკოლებდა სხვადასხვა საკითხზე შეთანხმების მიღწევას.

კისელიოვი შეეხო კორეის ომს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების დაფინანსებული უარი — შეწყვიტოს დანაშაულებრივი ინტერვენცია კორეაში, გამოსატავს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების განზრახვას დაიწყონ ახალი დიდი ომი. აგრესიის მომზადების ეს პოლიტიკა საფუძვლად უდევს შეერთებული შტატების უარს აიკრძალოს ატომური იარაღი, მაშინ როცა შეერთებული შტატები გაფაციცებით ეძებენ ახალ ომში გამოსაყენებლად უფრო ქმედითი და უფრო იაფი ატომური იარაღის წარმოების ხერხებს.

შეერთებული შტატებისა და ინგლისის ატომური პოლიტიკის მიზნები, თქვა კისელიოვმა, გამოიხატა ინგლისელი მეცნიერის განცხადებით, რომ მომავალში ატომური იარაღით ერთი კაცის მოკვლის ღირებულება, რაც ახლა რამდენიმე ათას დოლარს აღწევს, ორ დოლარ და 80 ცენტამდე შემცირდება.

დაუპირდაპირა რა საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა ინგლის-ამერიკის აგრესიულ პოლიტიკას, კისელიოვმა განაცხადა, რომ ბელორუსიის დელეგაცია მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადებას, რომლის მიზანია კორეის ომის მშვიდობიანი მოწესრიგება, აგრეთვე პოლონეთის წინადადებას, რომელიც ითვალისწინებს კორეის კონფლიქტის შეწყვეტას, ატომური იარაღის აკრძალვას, შეიარაღების შესამდგომ შემცირებას და ხუთ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებას.

მან ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე, რომ ამერიკის პოლიტიკამ მნიშვნელოვნად შეასუსტა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა, და არა მარტო დააკისრა მათ შეიარაღების კოლოსალური ტვირთი, არამედ კიდევ აბრკოლებს მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ვაჭრობას აღმოსავლეთ ევროპასთან.

მას შემდეგ, რაც გამოვიდა ეთიოპიის წარმომადგენელი, რომელმაც მხარი დაუჭირა ამერიკელთა პოზიციას, პლენარული სხდომა დაიხურა. შემდეგი სხდომა გაიმართება 13 ნოემბერს დილით.

ნიუ-იორკი, 13 ნოემბერი. (საკადესი). გენერალურმა ასამბლეამ დღევანდელი დილის პლენარულ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება შეიტანოს დღის წესრიგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი გენერალური მდივნის არჩევის საკითხი. შემდეგ გაგრძელდა საერთო კამათი.

პირველი გამოვიდა გომინდანელი, რომელმაც ჩვეული ცილისმწამებლური სიტყვა წარმოთქვა. შემდეგ ილაპარაკა დომინიკოს რესპუბლიკის წარმომადგენელმა სალასარმა, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეგრეთწოდებული სუსტად განვითარებული ქვეყნების პრობლემებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათთვის დაუყოვნებლივ საჭიროა სტაბილური მსოფლიო ბაზარი.

სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიფაიმ თავის გამოსვლაში გააკრიტიკა კოლონიური სისტემის მომხრეები. მან განაცხადა, რომ სახელმწიფო, რომელიც განაგებს ტუნისსა და მაროკოს, უნდა მიხვდეს, რომ არ შეიძლება სისხლში ჩაახრჩო ამ ქვეყნების ხალხთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. რიფაიმ დასძინა, ამ ხალხებს რომ არ მიეცეს ნამდვილი თვითუფალი არჩევანის უფლება, ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევა იქნებაო.

სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა უკრაინის სსრ წარმომადგენელი ბარანოვსკი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებუ-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია

(გარდაცვალების 5 წლისთავის გამო)

1947 წლის 15 ნოემბერს გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანაშია.

სიმონ ჯანაშიას სიკვდილი მძიმე დანაკლისი იყო ჩვენი მეცნიერებისათვის. ს. ჯანაშიას სახით მან დაკარგა მგზნებარე საბჭოთა პატრიოტი, ნიჭიერი პედაგოგი, მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე, საბჭოთა ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი.

დიდია ს. ჯანაშიას დამსახურება მშობლიური კულტურის წინაშე. 1926 წლიდანვე — მას შემდეგ, რაც ბრწყინვალედ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, ს. ჯანაშია განუწყვეტლივ ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში; წერდა და აქვეყნებდა მეცნიერულ ნაშრომებს საქართველოს ისტორიის, ქართულ-კავკასიური ენათმეცნიერების და სხვა მომიჯნავე დარგებიდან. მის კალამს ეკუთვნის ოცამდე დიდი გამოკვლევა და მრავალი მომცრო წერილი და სტატია.

1935 წლიდან სიკვდილამდე ს. ჯანაშია განაგებდა საქართველოს ისტორიის კათედრას სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1936 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს. ეს დაწესებულება მისი ხელმძღვანელობით სულ მალე იქცა საბჭოთა ქართველთმცოდნეობისა და კავკასიისმცოდნეობის უმნიშვნელოვანეს კერად, რომელიც იბრძოდა ისტორიული და ლინგვისტური მეცნიერების გამყალბებლების, კერძოდ, ნ. მარის მიერ მარქსიზმის ვულგარიზაციის და მისი ანტიმეცნიერული „მოძღვრების“ წინააღმდეგ. 1941 წლიდან სიკვდილამდე ს. ჯანაშია ხელმძღვანელობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტს, რომელმაც კიდევ უფრო ნაყოფიერი გახადა საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის შესწავლა. 1940 წლიდან 1947 წლამდე ს. ჯანაშია წარმატებით უძღვებოდა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობას. ამ ექსპედიციამ მრავალი დიდი აღმოჩენა შეძატა ჩვენს ისტორიულ მეცნიერებას. 1939 წლიდან ს. ჯანაშია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილე იყო, ხოლო 1941 წლიდან — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. 1943 წელს იგი არჩეულ იქნა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

ს. ჯანაშია მთავრობის მიერ დაჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით. მას ორჯერ მიენიჭა სტალინური პრემია. 1946 წელს იგი არჩეულ იქნა სსრ კავშირის უმაღლეს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

(დასასრული)

ლი შტატების უარი—შეწყვიტონ აგრესიული ომი კორეაში და პროვოკაციული მოქმედება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ—ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობენ აგრესიული პოლიტიკის განხორციელებას, ამასთან მიზნად ისახავენ მთელ მსოფლიოში გაბატონებას. ამ მიზნით ამერიკის შეერთებული შტატები გამალებით იარაღდებიან, რითაც სულ უფრო მზარდ საგადასახადო ტვირთს აკისრებენ ამერიკელ ხალხს და ამავე დროს ამდიდრებენ ამერიკელ მონოპოლისტებს.

ამასთან, აღნიშნა ბარანოვსკიმ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ევროპის ქვეყნებს—ატლანტიკის ბლოკის წევრებს თავს მოახვიეს გამალებული შეიარაღება, რომელიც მათ 14 მილიარდ დოლარად უჯდებათ წელიწადში და ძირს უთხრის მათ ეკონომიკას. შეერთებული შტატების ნაკარნახევი სამხედრო პოლიტიკის გავლენა შეგვიძლია დავინახოთ, თუ საფრანგეთის სამრეწველო წარმოების დაბალ დონეს შევადარებთ უკრაინის სამრეწველო წარმოების დონეს. თუმცა უკრაინა საფრანგეთზე გაცილებით უფრო დაზარალდა ომით, მაგრამ მან გაბრძოლა აღდგენა და გაადიდა თავისი წარმოება ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირის სოციალისტური ეკონომიკის მშვიდობიანი ორიენტაციის შედეგად.

მიუხედავად იმისა, რომ ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების მთავრობები ცდილობენ ჩამოაშორონ ხალხთა ყურადღება მათ სულ უფრო მზარდ სიღატაკეს, ამ ქვეყნების ხალხებს შორის სწრაფად იზრდება უკმაყოფილება ამერიკელი იმპერიალისტების მიზნებისადმი დამორჩილების პოლიტიკით და ძლიერდება მოთხოვნა გადაისინჯოს ამ ქვეყნების პოლიტიკა. ეს მოვლენები ასახავენ საბჭოთა კავშირის იმ თანმიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკის სულ უფრო მზარდ გავლენას, რომელიც მტკიცედ დაფუძნებულია რწმენაზე, რომ შესაძლებელია კომუნიზმისა და კაპიტალიზმის მშვიდობიანი თანაარსებობა. პოლონეთის იმ წინადადების მიღება, რომელიც ითვალისწინებს კორეის ომის დამთავრებას, „ატომური იარაღის აკრძალვას, შეიარაღების შემცირებასა და ხუთი დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პატის დადებას, ნამდვილი ნაბიჯი იქნებოდა მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ.

ამით დამთავრდა დილის სხდომა.

გენერალურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. (საკდესი). 12 ნოემბერს მოწვეულ იქნა გენერალური კომიტეტის საგანგებო სხდომა ასამბლეის დღის წესრიგში ახალი პუნქტის—„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის დანიშვნის შესახებ“—შეტანის საკითხზე. თავმჯდომარემ კანადის წარმომადგენელმა პირსონმა მოითხოვა ასამბლეის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანა. ამ მოთხოვნის წინააღმდეგი არავინ ყოფილა და იგი ერთხმად მიღებულ იქნა.

მეურვეობის საკითხთა კომიტეტში

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის მეურვეობის საკითხთა კომიტეტმა დაამთავრა არათვითმმართველი ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის საკითხის განხილვა. განიხილეს აგრეთვე საკითხი იმ სპეციალური კომიტეტის შემდგომი ბედის შესახებ, რომელიც გენერალურმა ასამბლეამ შექმნა 1949 წელს არათვითმმართველი ტერიტორიების მდგომარეობის შესახებ მმართველ სახელმწიფოთაგან შემოსული ინფორმაციის განსახილველად. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრა საკითხი ამ კომიტეტის მუშაობაში არათვითმმართველი ტერიტორიების წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ.

ყველა ამ საკითხში კოლონიური სახელმწიფოები სერიოზულად დამარცხდნენ.

მიუხედავად კოლონიურ სახელმწიფოთა წინააღმდეგობისა, მეურვეობის საკითხთა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც წინადადება ეძლევათ მმართველ სახელმწიფოებს გაუქმონ ან გადასინჯონ ყველა კანონი და განკარგულება, რომლებიც იძლევიან კოლონიებში ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ რასობრივი, რელიგიური დისკრიმინაციისა და სხვა სახის დისკრიმინაციის სანქციას. ამ რეზოლუციის ხმა მისცა 46 დელეგაციამ, მათ შორის სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ბელორუსიის სსრ, უკრაინის სსრ და პოლონეთის დელეგაციებმა. მთელი რიგი კოლონიური სახელმწიფოების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა, ვერ გაბედეს აშკარად მიეცათ ხმა ამ რეზოლუციის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა შენიშვნა გააკეთა და განაცხადა, რომ ამ რეზოლუციამ არ უნდა გამოიწვიოს მმართველი სახელმწიფოებისა და ტერიტორიების ურთიერთობაში ჩარევა. ეს შენიშვნა არსებითად იმას მოასწავებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უარს ამბობენ ამ რეზოლუციის განხორციელებაზე. საფრანგეთის დელეგატმა თავი შეიკავა, ხოლო ბელგიისა და სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენლებმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს.

კოლონიური სახელმწიფოები დამარცხდნენ აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არათვითმმართველი ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის განმხილველი სპეციალური კომიტეტის საქმიანობის ვადის განგრძობის საკითხის განხილვის დროს.

ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და მთელი რიგი სხვა კოლონიური სახელმწიფოების წარმომადგენლები ისწრაფოდნენ გაეუქმებინათ ეს კომიტეტი. ისინი ცდილობდნენ დაეშინებინათ მეურვეობის საკითხთა კომიტეტის წევრები და აცხადებდნენ, რომ, მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებისა, მათი მთავრობები მონაწილეობას არ მიიღებენ არათვითმმართველი ტერიტორიების ინფორმაციის განმხილველი სპეციალური კომიტეტის მუშაობაში.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ო. ო. იურანსმა ამხილა კოლონიურ სახელმწიფოთა დელეგატები და მხარი დაუჭირა კომიტეტის საქმიანობის ვადის განგრძობას. მან განაცხადა, რომ, რამდენადაც მმართველ სახელმწიფოთა ვალდებულებას — წარმოადგინონ ინფორმაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, მუდმივი ხასიათი აქვს, ამ ინფორმაციის განმხილველი კომიტეტიც დაარსებულ უნდა იქნას როგორც გენერალური ასამბლეის მუდმივი ორგანო.

მეურვეობის საკითხთა კომიტეტმა მიიღო რეზოლუციის პროექტი არათვითმმართველი ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის განმხილველი სპეციალური კომიტეტის საქმიანობის ვადის სამი წლით განგრძობის შესახებ, ამასთან რეზოლუციის პროექტი ითვალისწინებს ამ კომიტეტის მუშაობის ვადის ავტომატურ განგრძობას მომავალშიც, თუ გენერალურმა ასამბლეამ სხვა გადაწყვეტილება არ მიიღო. 40 ქვეყნის დელეგაციები, მათ შორის სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ფილიპინების, ვენესუელის, ავღანეთის, ეგვიპტის, ირანის, ერაყის, ლიბანისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგაციებმა ხმა მისცეს ამ პროექტს. 12 ქვეყნის, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის წარმომადგენლებმა ხმა მისცეს რეზოლუციის ამ პროექტის წინააღმდეგ.

მეურვეობის საკითხთა კომიტეტმა მიიღო აგრეთვე ბირმის, ინდოეთის, ინდონეზიისა და პაკისტანის ერთობლივი რეზოლუციის პროექტი იმის შესახებ, რომ სასურველია არათვითმმართველი ტერიტორიების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღონ ამ ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის განმხილველი სპეციალური კომიტეტის მუშაობაში.

საბჭოთა წარმომადგენელმა იურანსმა აღნიშნა, რომ ამ კომისიის მუშაობაში მკვიდრი მოსახლეობის მონაწილეობა ხელს შეუწყობს არათვითმმართველი ტერიტორიების ნამდვილი მდგომარეობის გამორკვევას მით უმეტეს, რომ კომიტეტი განიხილავს მხოლოდ მმართველ სახელმწიფოთა ინფორმაციას, რომელიც მათი კოლონიური პოლიტიკის ქებით ამოიწურება. საბჭოთა წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომიტეტის მუშაობაში მკვიდრი მოსახლეობის მონაწილეობის წინააღმდეგ კოლონიურ სახელმწიფოთა გამოსვლა ერთხელ კიდევ ცხადყოფს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე შიშს კომიტეტში დაუშვან არათვითმმართველი ტერიტორიების წარმომადგენელნი, რომელთაც შეუძლიათ ამხილონ კოლონიების ძარცვის მათი პოლიტიკა.

კენჭისყრის შედეგად წინადადება იმის შესახებ, რომ სასურველია კომიტეტის მუშაობაში არათვითმმართველი ტერიტორიების წარმომადგენელთა მონაწილეობა, მიღებულ იქნა ხმის დიდი უმრავლესობით. 40 დელეგაციამ. მათ შორის სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ბელორუსიის სსრ, უკრაინის სსრ, პოლონეთის, პაკისტანის, ბირმის, ინდოეთის, ლიბანის, ერაყის დელეგაციებმა ხმა მისცეს ამ წინადადებას. 10 ქვეყნის, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის წარმომადგენლებმა ხმა მისცეს მის წინააღმდეგ.

საბჭოთა კინოფილმების უდიდესი წარმატება ჩინეთში

შანხაი, 13 ნოემბერი. (საკდესი). ჩინეთში საბჭოთა კინოფილმების უდიდესი წარმატება მოუშობს, რომ ჩინელ ხალხს დიდად აინტერესებს საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ხალხის ცხოვრება და მისი სოციალისტური კულტურა.

გაზეთი „ძეფანეიბაო“ იუწყება, რომ სამი წლის განმავლობაში ჩინეთში უჩვენეს 200-ზე მეტი საბჭოთა კინოფილმი, რომლებიც ნახა 186 მილიონზე მეტმა მაყურებელმა. მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საბჭოთა კინოფილმები ნახა 66.150 ათასზე მეტმა კაცმა.

ჩინეთის მშრომელები, რომლებიც ახალი ცხოვრებისათვის იბრძვიან, წერს გაზეთი, არა მარტო უნდა დაეუფლონ საბჭოთა კავშირის მოწინავე გამოცდილებას, არამედ აგრეთვე გათავისუფლდნენ დრომოჭმული იდეებისაგან და იბრძოლონ ახალი მორალის გამარჯვებისათვის. საბჭოთა კინოფილმები ამ მხრივ საუკეთესო აღმზრდელი და მასწავლებელია, ისინი გვიჩვენებენ კომუნიზმისაკენ მიმავალ გზას.

დღეს შანხაის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებაში განაცხადეს, რომ აღმოსავლეთ ჩინეთში უდიდესი წარმატება აქვს საბჭოთა კინოფილმების ამას წინათ დაწყებულ ერთთვიურს. ახლა საბჭოთა ფილმებს უჩვენებენ აღმოსავლეთ ჩინეთის 14 დიდი ქალაქის — შანხაის, ნანკინის, სიუიჯოუს, ძინანისა და სხვა ქალაქების 97 კინოთეატრში. აღმოსავლეთ ჩინეთში მუშაობს 193 მოძრავი კინო, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში საბჭოთა ფილმებს უჩვენებენ ფაბრიკების, ჭარხნების მუშებსა და სოფლების მცხოვრებლებს.

სენატორი მაკარენი უბრძანებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას

ნიუ-იორკი, 13 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საშინაო უშიშროების საკითხთა ქვეკომისიის (რომელსაც ბნელეთის მოციქული მაკარენი ხელმძღვანელობს) წევრებმა, რომლებიც განაგრძობენ თავიანთ ცდებს უკარნახონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს, თუ ვინ უნდა მიიღოს მან სამუშაოზე, წამოაყენეს წინადადება განდევნილ იქნას შეერთებული შტატებიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, თუ არ დაითხოვენ სამდივნოს იმ მოსამსახურეებს, რომელთა ყოფნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამსახურში არ იწონებს ქვეკომისია.

ჩან კაი-ში ჯარებს სთავაზობს კორეაში აგრესიისათვის

ვაშინგტონი, 13 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელ ბრიუსთან თათბირის შემდეგ ჩან კაი-შის „საგარეო საქმეთა მინისტრმა“ ჯორჯმა კორესპონდენტებს აცნობა, რომ მან გაიმეორა ჩან კაი-შის წინადადება გაგზავნოს ჯარები კორეის ომში მონაწილეობისათვის ამერიკელების მხარეზე.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 13 ნოემბერი. (საკდესი). როგორც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობა იუწყება, დღეს სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელი სახალხო მოხალისეები თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს განცხადება

დელი, 13 ნოემბერი. (საკდესი). ინდოეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს გამოაქვეყნა განცხადება პრესისათვის, რომელშიც ნათქვამია, რომ ინდოეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა პოლიტბიუროს რეზოლუცია ამის შესახებ, რომ „კომპარტიის იდეოლოგიური და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის ბრძოლას განსაკუთრებით დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა“. ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პოლიტბიუროს მოამზადოს სპეციალური მოხსენება, მიმართული იმისაკენ, რომ „პარტიის იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ მუშაობაში აღმოიფხვრას ძირითადი ნაკლოვანებანი“.

ცენტრალურმა კომიტეტმა ერთსულოვნად მოიწონა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის გადაწყვეტილებანი და ყველა პირველად პარტიულ ორგანიზაციას მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესისათვის მზადებაში.

„ცენტრალური კომიტეტი, — ნათქვამია განცხადებაში, — მიესალმება ამხანაგ სტალინის უდიდესი მნიშვნელობის თეორიული ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გამოსვლას. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მოუწოდოს ყველა პირველად პარტიულ ორგანიზაციას „სერიოზულად შეისწავლონ მარქსიზმ-ლენინიზმის ეს უდიდესი კლასიკური ნაწარმოები, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მასალები“.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 12 ნოემბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარეობს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები განსაკუთრებული ინტერესით სწავლობენ ამ დღეებში საბჭოთა ადამიანების ცხოვრებასა და მუშაობას, საბჭოთა კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს.

ქალაქებსა და სოფლებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სასწავლებლებსა და დაწესებულებებში ყველგან იმართება საბჭოთა კავშირის ცხოვრების ყველა მხარის ჩვენებისადმი მიძღვნილი ლექციები, მოხსენებანი და საუბრები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყურადღების ცენტრშია ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მასალების შესწავლა.

დიდი რუსი მეცნიერების პავლოვის, ტიმირიაზევის, მიჩურინისა და ლისენკოს შრომები არა მარტო მეცნიერების წარმომადგენლების, არამედ მოსახლეობის უფართოესი ფენების კუთვნილება ხდება.

დიდი წარმატებით მიმდინარეობს კონცერტები საბჭოთა მსახიობებისა, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიიწვიეს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დღეებში.

ხალხით გაჭედილ დარბაზებში უჩვენებენ საბჭოთა კინოფილმებს: „დაუვიწყარი 1919 წელი“, „ჩვენ კრონშტადტელები ვართ“, „თოფიანი კაცი“. მაყურებლები აღფრთოვანებით ხვდებიან ეკრანზე იმ კადრების გამოჩენას, რომლებშიც აღბეჭდილია რევოლუციის ბელადების, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლებისა და ხელმძღვანელების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სახე.

9-დან 15 ნოემბრამდე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმართება „საბჭოთა წიგნის კვირეული“. გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურისათვის გამოიცა საბჭოთა ავტორების მრავალი წიგნი. გამოვიდა „რუსული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ტომი.

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს სხდომა

ბერლინი, 13 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ბერლინში გაიმართა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელზეც განხილეს გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის საერთაშორისო კონფერენციის გადაწყვეტილებანი და გერმანიის ეროვნული გაერთიანების პროგრამა, რომელიც გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა.

როგორც დემოკრატიული პრესა იუწყება, სხდომას დაესწრნენ წინაადმდეგობის ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები დასავლეთ გერმანიიდან და დასავლეთ ბერლინიდან, აგრეთვე საპატიო სტუმრები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, კერძოდ, გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი პროფესორი ერტელი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარემ იოჰანეს დიკმანმა სხდომის მონაწილეებს წარუდგინა მოხსენება გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის საერთაშორისო კონფერენციის მუშაობის შესახებ. დიკმანის მოხსენება შევსებულ იქნა სახალხო პალატის დეპუტატის ფრანც დალემის სიტყვით.

დასავლეთ გერმანიის პარლამენტის დეპუტატმა ვალტერ ფიშმა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს სხდომაზე გააკეთა მოხსენება გერმანიის კომუნისტური პარტიის მიერ წამოყენებული გერმანიის ეროვნული გაერთიანების პროგრამის შესახებ.

ორივე მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომლის მსვლელობაშიც გამოვიდნენ, კერძოდ, დოქტორი კორენსი, პროფესორი ერტელი, დოქტორი გერეკე, პასტორი ფრალიკი, ვილჰელმ კენენი და ოტო გროტეოლი.

ყველა გამოსულმა მტკიცედ გაილაშქრა ბონის პარლამენტში დასავლეთის სახელმწიფოებთან იმ სამხედრო ხელშეკრულებათა განზრახული რატიფიკაციის წინააღმდეგ, რომელთაც ადენაუერმა ბონსა და პარიზში ხელი მოაწერა, და მხურვალედ მიესალმა რეზოლუციებს, რომლებიც მიღებულია გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის საერთაშორისო კონფერენციაზე, და გერმანიის ეროვნული გაერთიანების პროგრამას, რომელთა მიხედვით გერმანელი ხალხის ეროვნული ერთიანობის აღდგენა, გერმანიასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადება და ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფა.

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნულმა საბჭომ გადაწყვიტა მიიღოს მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა რაც შეიძლება უფრო ფართოდ გავრცელდეს გერმანიის ორივე ნაწილის მოსახლეობაში როგორც გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის საერთაშორისო კონფერენციის გადაწყვეტილებანი, ისე გერმანიის ეროვნული გაერთიანების პროგრამა.

სამხედრო ასიგნებათა ზრდა თურქეთში

სოფია, 13 ნოემბერი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო, იმოწმებს რა თურქული გაზეთის „ვატანის“ ცნობას, იუწყება, რომ თურქეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს ახალი ბიუჯეტი 750 მილიონ თურქულ ლირას აღწევს. ეს ასიგნებანი თურქეთის ყველაზე დიდი ასიგნებებია სამხედრო მიზნებისათვის.

საქართველოს X ჩემპიონატი ცხენოსნობაში

მეექვსე დღე

ქუთაისი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). 13 ნოემბერს ამინდი გაუარესდა და ცხენოსანი სპორტსმენებისათვის ძნელი გახდა უმაღლესი კლასის დაბრკოლებათა გადალახვაში შეჯიბრება. სამაგიეროდ გაიმართა შეჯიბრება ისინდში და ცხენოსნური სპორტის ზოგიერთ სხვა სახეობაში. დაიწყო შეჯიბრება ყაბახში, დოღში 4 კილომეტრზე და ჩეხვაში.

მიმზიდველი იყო დოღი ოთხ კილომეტრზე. მსაჯის ნიშანზე ცხენოსნები მოსწყდნენ ადგილს. მაყურებელთა წინ ელვასავით გაიქროლეს ბედაურებმა. კიდევ ერთი წრე და ფინიშთან პირველი მიიჭრა ზუგდიდის რაიონის გუნდის წარმომადგენელი ვ. დარასელია, რომელმაც მანძილი დაფარა 5 წუთსა და 11,3 წამში. გამარჯვებულს მხოლოდ 2,2 წამით ჩამორჩა აფხაზეთის გუნდის ცხენოსანი ქ. ჩუაზი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გამოვიდა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ გუნდის წარმომადგენელი ვ. ოძელაშვილი. მისი დროა 5 წუთი და 35 წამი.

ყაბახში მონაწილე ცხენოსანთა შორის გაიმარჯვა ვ. საბახტარიშვილმა (ცხაკაიას რაიონი), რომელმაც შეძლო სამიზნეზე მოხვედრა და მანძილის 21,2 წამში გაკვლა. მეორე ადგილი დაიკავა ვ. გელენავამ (ზუგდიდის რაიონი).

ჩემპიონატის მეექვსე დღეს გაიმართა შეჯიბრება ჩეხვაში. პირველობისათვის მებრძოლთა რიგებში იყო სახელმოხვეჭილი ცხენოსანი, საბჭოთა კავშირის 1952 წლის ჩემპიონი ზ. ანშბა (აფხაზეთი). ამ შეჯიბრებაში ზ. ანშბამ გამოავლინა საუკეთესო მომზადება და მაღალი სპორტული შედეგით პირველი ადგილი დაიკავა. ჩეხვაში მეორე ადგილზე გამოვიდა გ. ივანიძე (ცხაკაიას რაიონი), მესამეზე—ა. კვარაცხელია (წალენჯიხის რაიონი).

ა. ყაზბეგის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

ყაზბეგი. (ხაკ. კორ.). ა. ყაზბეგის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მოთავსებულია იმ შენობაში, სადაც დაიბადა და სიცოცხლის მრავალი წელი გაატარა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ალ. ყაზბეგმა. შენობის ეზოში დადგმულია მწერლის ძეგლი. აქედან კარგად ჩანს მჩქეფარე თერგი, სამების ტაძარი და თოვლით შემოსილი მყინვარწვერი.

მუზეუმს აქვს საბუნებისმეტყველო, ისტორიული და ეთნოგრაფიული განყოფილებები. აქვეა საბჭოთა მშენებლობის ამსახველი განყოფილება და ა. ს. პუშკინისადმი მიძღვნილი გამოფენა. მრავალ სხვა ექსპონატთან ერთად მუზეუმს აქვს პუშკინის ნაქონი ხმალი და ჩიბუხი.

კარგად მოწყობილია დარბაზები, სადაც გამოფენილია ა. ყაზბეგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატები. აქ არის მწერლის საოჯახო ნივთები, მისი აკვანი, საწოლი, კარადა, მრავალი ფოტოდოკუმენტი, წიგნები და სხვა.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მუზეუმის დირექტორი ს. ალიბეგაშვილი და ცნობილი მთამსვლელი გ. შადური ისინი წერენ მეცნიერულ შრომებს, ახალი ექსპონატებით ამდიდრებენ მუზეუმს.

ალ. ყაზბეგის კარმიდამო და მუზეუმი წელს რვა ათასზე მეტმა კაცმა ინახულა. მნახველთა შორის ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა გარდა, იყვნენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ესტონეთიდან და საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებიდან ჩამოსული ექსკურსანტები.

ა. ყაზბეგის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს დიდი მნიშვნელობა აქვს ყაზბეგის რაიონის მეცნიერულად შესწავლის საქმეში. იგი კარგად არის მოწყობილი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მუზეუმი განიცდის ბინის სივიწროვეს. მაგალითად, ხევის გეოლოგიის 2.000 ექსპონატიდან, სივიწროვის გამო, გამოფენილია მხოლოდ 212.

ზანსაცმლის საზაფხულო ფორმაზე გადასვლის შესახებ

ქალაქ თბილისის [illegible] როსის ბრძანებით თბილისის გარნიზონის სამხედრო [illegible], სამმართველოები, დაწესებულებები და სამხედრო სასწავლებლები 1952 წლის 17 ნოემბრიდან გადადიან ტანსაცმლის საზაფხულო ფორმაზე.

ქალაქ თბილისის გარნიზონის სამხედრო კომენდანტი

პოლკოვნიკი ქუდიძე.

გამსვლელი სამეცნიერო სესია ქუთაისში

15 და 16 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი ქუთაისში აწყობს სამეცნიერო სესიას ადგილობრივ ექიმთა საზოგადოებასთან.

სესიის ჩასატარებლად სამედიცინო ინსტიტუტმა მიაწვინა პროფესორები ვ. ა. ანდღულაძე, ვ. ს. ანთაძე, მ. კ. ჩაჩავა, ი. მ. რცხილაძე და ა. დ. უსტიაშვილი, რომლებიც წაიკითხავენ მოხსენებებს თემებზე: აკადემიკოს ი. პ. პავლოვის მოძღვრება შინაგან სნეულებათა კლინიკაში; ბრუცელოზი და მასთან ბრძოლის თანამედროვე ამოცანები; საყლაპავი მილის შევიწროვების ოპერატიული მკურნალობის საკუთარი მონაცემები; დიზენტერიის კლინიკის და მკურნალობის ზოგიერთი საკითხის შესახებ ბავშვთა ასაკში; მშობიარობის გუტაპერჭისა.

სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ადგილობრივი ექიმები—მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები გ. ლორთქიფანიძე და გ. გელოვანი, ექიმები ა. ძოწენიძე, ა. ჩიკვაშვილი, ს. ყელენტი და სხვ.

სამეცნიერო სესიაზე მივლინებული პროფესორები ადგილობრივ გაუწევენ ექიმებს სათანადო კონსულტაციას სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

რუსთაველის სახელობის თეატრის ახალი სპექტაკლები

რუსთაველის სახელობის თეატრი ამჟამად მუშაობს ორ სპექტაკლზე, რომლებსაც ახალგაზრდა რეჟისორები დგამენ.

რეჟისორი მ. თუმანიშვილი ამზადებს სტალინური პრემიის ლაურეატის პ. მალიარევსკის პიესას „ქარიშხლის წინ“. პიესაში ასახულია მუშათა დახვრეტა ლენის სიცოცხლეში 1912 წელს. სპექტაკლს აფორმებს სტალინური პრემიის ლაურეატი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ფ. ლაპიაშვილი. მონაწილეობას იღებენ თეატრის მსახიობთა წამყვანი ძალები.

რეჟისორი ა. დვალი იწყებს მუშაობას დრამატურგ გ. ქელბაქიანის ახალ პიესაზე „ჩვენი ქვეყნის ყვავილები“. პიესის თემაა საქართველოს ახალგაზრდა სპეციალისტების ცხოვრება და მუშაობა. სპექტაკლს აფორმებს მხატვარი ფ. ლაპიაშვილი, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა რ. ლაღიძემ. მთავარ როლებს შეასრულებენ თ. თეთრაძე, გ. გეგეჭკორი, კ. მახარაძე, ვ. დოლიძე და სხვ.

თბილისური ტექსტოვინიტი

ტექსტოვინიტი ეწოდება ხელოვნურ „ტყავს“, რომლისაგანაც ამზადებენ ხელჩანთებს, საწვიმრებს, საფულეებს და მთელ რიგ სხვა ნივთებს. იგი ახალი მასალაა, და მასზე ჩვენი სახალხო მეურნეობა მზარდ მოთხოვნებს აყენებს.

ამჟამად ტექსტოვინიტს ამზადებენ თბილისშიც. ეს სამუშაო ითვისა საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციის სისტემის არტელმა „ინდუსტრიამ“, რომელიც ყოველთვიურად რამდენიმე ათას მეტრ ტექსტოვინიტს უშვებს. არტელის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს მოკლე ხანში გააფართოოს ეს წარმოება და უფრო ლამაზი ხელჩანთებისა და სხვა ნივთების დასამზადებლად უზრუნველყოს ფერადი, მოხატული ტექსტოვინიტის გამოშვება.

ხარისხით თბილისური ტექსტოვინიტი დამაკმაყოფილებელია.

რედაქტორის მოადგილე

ი. ნატროშვილი.

საქართველოს რადიოგადაცემათა 16 ნოემბრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.25 — ქართული ხალხური სიმღერები; 07.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 11.00 — კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლის შესრულებით; 11.30 — „პიონერთა დაფიონის“ საკვირაო გამოშვება; 12.15 — კონცერტი შრომითი რეზერვების სახელოსნო სასწავლებლების მუშათა თხოვნით; 16.00 — ლიტერატურულ-დრამატული გადაცემა ციკლიდან მხატვრული კინოსურათები „ბერლინის დაცემა“; 16.45 — ქართული ლირიკული სიმღერები; 17.00 — მიკროფონით ჩვენს რესპუბლიკაში; 17.30 — კამერული მუსიკის კონცერტი; 17.45 — გადაცემა მოსწავლეთათვის — რადიომიმოხილვა „ნორჩ რადიომსმენელთა თეატრი“; 18.45 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა შესრულებით; 19.00 — გადაცემა საბჭოთა არტილერისტებისათვის; 19.15 — კონცერტი არტილერისტთა თხოვნით.

რადიოსადგურებით 1.500, 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 20.30 —საუბარი საერთაშორისო თემაზე; 21.30—საოპერო მუსიკის კონცერტი; 22.20 — ნაზიმ ჰიქმეთის ლექსები; 22.40 — ტრანსლაცია მოსკოვიდან; 00.05 — ვალსები.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

15 ნოემბერს	დ. თორაძე—**გორდა**
16 ნოემბერს	დღისით 12 საათზე რ. გლიერი— **წითელი ყაყაჩო** საღამოს ზ. ფალიაშვილი—**დაისი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1952 წლის 26 ნოემბერს, დღის 1 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერს